ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№197 (256) 20-27 ნოემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახელმწიფოში...

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ამ სახეცვლილი გამონათქვამის ნიშნისმოგებით პერიფრაზირებას ხშირად ახდენდა ქართველი **“ნაცისტების”** წვერებიანი სახე და პროპაგანდის რუპორი, პარლამენტარი დავით დარჩიაშვილი (დარჩიევი). ეს გახლდათ მორიგი ირონიული მიმართვა მაშინდელი ოპოზიციისადმი, რომლის ჯანსაღი ნაწილი მართლაც თავდაუზოგავად ებრძოდა საქართველოში გამეფებულ უკანონობას და ყოველნაირი კანონიერი გზების გამოყენებით ცდილობდა მიეწვდინა ხმა მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისადმი ერთი ზნედაცემული და გონებასუსტი **“ვითომ-ქართველი ნაცის”** დაუოკებელი დიქტატორული მისწრაფებების თაობაზე. ხოლო ის, რასაც დარჩიევი **“სახელმწიფოდ”** მოიხსენიებდა, იგივე ფრანგი ფილოსოფოსის ენით რომ ვთქვათ, ფაქტიურად იყო **“ტარტარის უდაბნო”**, რომლის მონადაქცეული მოსახლეობისათვის შექმნილი აუტანელი ყოფა რაც უფრო უახლოვდებოდა ჯოჯოხეთის სტანდარტებს (**“ტარტარი”** – ლათინურად ჯოჯოხეთს ნიშნავს), მით უფრო მძლავრობდა დათრგუნულ ხალხში **“ბედნიერი მომავლის”** იმედი. და რაც ყველაზე უფრო ცინიკურია, დარჩიევი ამას ამბობდა იმ საქართველოზე, რომელსაც ნაცების ცხრაწლიანი ძალადობრივი მმართველობის შედეგად ლამის პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს არშემდგარ სახელმწიფოთა სამარცხვინო სიაში!

მართლაც მაგარი ფსიქოლოგიური წრთობა ჰქონდათ გავლილი ნაცებს და მათ ბელად სააკაშვილს, რადგან უდავოა, რომ რაც უფრო უჭირს ადამიანს, მით უფრო უტყვად და სასოებით ელოდება იგი ხსნას ზებუნებრივი ძალებისაგან, რაც ხშირად იძენს ხოლმე რელიგიური პარაზიტიზმის სახეს. თუნდა ისეთს, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი რომაა შთაგონებული: **“ქართველებს შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, რადგან საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მაინც ყველაფერი კარგად იქნებაო”!**

უფრო მეტ ზიანს ვერავინ მიაყენებს ქვეყანას და ხალხს, რადგან ამგვარი მოწოდება საზოგადოებაში ასუსტებს საკუთარი მომავლისათვის ბრძოლის ნებას, უსაქმურობისა და უპასუხისმგებლობისაკენ უბიძგებს ერს, რაც ძალზე საშიშია მისი თვითმყოფადობისა და თვითგადარჩენის ინსტინქტებისათვის. სწორედ ამგვარ უდარდელობასა და და უპასუხიმგებლობას შეეწირნენ ასურელები, ნინევიელები, კოპტები, ძველი ეგვიპტელები, ელინები, რომაელები...

ჩვენ კი, როგორც ჩანს, იმან გადაგვარჩინა, რომ მართლაც გვეფარა მარიამ ღვთისმშობლის კალთა, მაგრამ როდემდის შეიძლება მხოლოდ ღვთიური მადლის იმედად ყოფნა?

ვერ შევიფერეთ საქართველოს ჭეშმარიტ განმანთავისუფლებლად მოვლენილი ზვიად გამსახურდია და გარე ძალების ბოროტი წაქეზებით მოვუსწრაფეთ მას სიცოცხლე. დიახ, ყველა ის ქართველია დამნაშავე ზვიად გამსახურდიას სიკვდილში, წინ რომ არ გადაეღობა რეაქციულ ძალებს, რომელთაც ზვიადთან ერთად მოკლეს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაც!

როდემდე შეიძლება ვიყოთ მესიანიზმის ნირვანაში გადავარდნილი – განა სწორედ ასეთ მესიად არ მიგვაჩნდა ჯერ ედუარდ შევარდნაძე, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილი, რომელთა მესიანიზმი ჯოჯოხეთურ სადგისად გვეძგერა ფერდში და მალე, ლამის სრული დაღუპვის ზღვარზე დაგვაყენა...

ახლა კი სრულიად ახალ **“მესიას”** შევცქერით მოწიწებით, მისგან ველოდებით **“ციურ მანანას”** და ვერ გაგვიაზრებია, რომ ერისათვის შეურაცხმყოფელია მუდამ სხვის ხელში ცქერა, რომ მესიისაგან დღემუდამ მოწყალების მიღების იმედად ყოფნა, მარტივად რომ ვთქვათ, მათხოვრობა უფროა, ვიდრე საერთო-სახელმწიფოებრივი საქმის კეთება! სწორედ ხელისუფლებისადმი ამგვარი მომხმარებლური დამოკიდებულება გახლავთ ნოყიერი ნიადაგი დიქტატურისათვის, რასაც მოხერხებულად იყენებენ კიდეც, არც თუ იშვიათად, გონებაჩლუნგი ადამიანებიც კი...

სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ელემენტარული ჭეშმარტება – ყოველგვარი სიბოროტისაგან საბოლოოდ თავის დახსნა მოხერხდება არა მხოლოდ რიტუალური მსხვერპლშეწირვითა და ღმრთისადმი ხელაპყრობილად ლოცვით, არამედ იმ მძლავრი საზოგადოებრივი აზრის შექმნით, რომელიც საბოლოოდ აღკვეთს არაკაცთა თარეშს ქვეყანაში და მომავალშიც გამორიცხავს სატანის აღზევებას!

სახელმწიფოს მართვას სჭირდება პოლიტიკური გონი, პოლიტიკური ნება და უზომო კეთილსინდისიერება, რაც, სამწუხაროდ, დიდ დეფიციტად იქცა სააკაშვილის მმართველობის წლებში! სააკაშვილებს, ბოკერიებს, ადეიშვილებს, და ძმათა მათთა ჰგონიათ, რომ თავად ჩაქუჩები არიან, ქართველი ხალხი კი ის ლურსმანია, რომელსაც დაუსრულებლივ უნდა უჩაჩქუნო თავში, მაშინაც კი, როცა ეს ხალხი მკვიდრადაა ჩაჭედილი გაუსაძლის გასაჭირსა და ქაოსში!

ვისი ბრალია სახელისუფლებო თავხედობა და ძალადობა, თუ არა ჩვენი?

ამასთან დაკავშირებით, მინდა, ერთხელ მაინც გამოგისწოროთ ჩაშხამებული გუნება: ერთ-ერთ საბჭოთა კოლმეურნეობაში ჩასულმა რაიკომის მდივანმა მასპინძლები დაამუნათა:

– რა არის ასეთი ჩამორჩენა, როგორ დავიჯერო, განა თავები არა გაქვთ?

– თავი ლურსმანსაც აქვს, ჩემო ბატონო, მაგრამ თუ ჩაქუჩი არ ჩაარტყი, არაფერი გამოვა... – უპასუხა დარცხვენილმა მეურნეობის დირექტორმა.

ასეა ჩვენი საქმეც – თავიც გვაქვს და ის სხვა **“უხერხული”** ადგილიც, მაგრამ, ვიდრე თავში ჩაქუჩს არ ჩაგვიკაკუნებენ და **“უხერხულ ადგილში”** ცოცხს არ გაგვირჭობენ, მანამ ვერ მოვდივართ ხოლმე აზრზე!

ის, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს დამნაშავე მაღალჩინოსნების დაკავება, ქართველი საზოგადოების შინაგანი პროტესტის გამოძახილი გახლავთ, თუმცა ამ პროცესს პოლიტიკურ ღონისძიებად მიიჩნევენ ამერიკელები და **ნატო**-ს ხელმძღვანელები. მათი ამგვარი **“მუცლისგვრემაც”** სავსებით გასაგებია, რადგან სააკაშვილი სწორედ მათი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით აშენებდა დიქტატორულ და არა **“დემოკრატიულ”** სახელმწიფოს, რისთვისაც მას, მთელი საქართველოს დასაცინად, **”დემოკრატიის შუქურადაც“** კი მოიხსენიებდნენ. ახლა კი, არ სურთ, რომ მსოფლიომ გაიგოს, თუ როგორ **“დემოკრატიას”** უჭერდნენ მხარს ამერიკელები და **ნატო**-ს მესვეურები. განა სწორედ ისინი არ ამარაგებდნენ ნაცების მონადაქცეულ ქართველ სამართალდამცავებს მოსასმენი აპარატურით, რათა მათ, დაუშვებელი ხერხებით, მიედოთ ინფორმაცია პოლიტიკურ ოპონენტებზე და მოეწყოთ მათთვის ბინძური პროვოკაციები. ევროპელებსა და ამერიკელებს დაკავებული ქართველი მაღალჩინოსნებისაგან იმის აღიარებისაც ეშინიათ, რომ ნაციონალების მიერ მითვისებული გრანტებისა და ჰუმანური დახმარებების ნაწილი **“ატკატის”** სახით მათვე უბრუნდებოდათ. ამიტომაც იჭაჭებიან და მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირიან, რომ საქართველოში პოლიტიკური დაპატიმრებები დაიწყოო.

დამნაშავეთა მხილებისა და სამართალში მიცემის ტენდენცია ერთგვარი ინდიკატორიცაა **“ქართული ოცნებისა”** და პირადად ივანიშვილისათვის. მიუხედავად ამერიკელებისა და **ნატო**-ს ხელმძღვანელების უარყოფითი დამოკიდებულებისა საქართველოში სამართლიანობის აღდგენის ღონისძიებათა მიმართ, არ შეიძლება, რომ ელემენტარული დამნაშავე პოლიტიკურ ფიგურად შევრაცხოთ. და თუ ახალი ხელისუფლება კვლავაც პრინციპულად განაგრძობს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლას და ყოველ დამნაშავეს საკადრისს მიუზღავს, მიუხედავად მისი სტატუსის და თანამდებობისა, დავრწმუნდებით, რომ **“ქართული ოცნება”** მართლაც მოწადინებულია, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღადგინოს. ხოლო თუ დაპატიმრებათა სერია ბაჩანა ახალაიათი და რამდენიმე მაღალჩინოსნის დაკავებით შემოიფარგლება, გამოდის, რომ ესენიც ამერიკელების დაკრულზე ცეკვავენ, რასაც სათანადო შეფასებას მისცემს ქართველი ხალხი.

სამართალდამცავების მიერ მაღალჩინოსნის, დაბალჩინოსნის თუ საერთოდ უჩინოს დაკავება ელემენტარული პროცედურული პროცესია, დაკავებულისათვის კი დიდი ტრაგედიაა და ამ ტრაგედიით მიყენებული განცდა ადამიანს უათმაგდება, თუ მისი დაპატიმრების დადგენილება დამაჯერებელი არგუმენტებით არაა გამაგრებული. სააკაშვილი და ნაციონალები სამხილების შეგროვებით დიდად არ იწუხებდნენ თავს – ჯერ გათავხედებული სააკაშვილის, ბოკერიას, ადეიშვილის თუ სხვა **“ნაცის”** ზეპირი განკარგულების საფუძველზე დააპატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანს და შემდეგ შეუდგებოდნენ ხოლმე სამხილების ძებნას და თუ სამხილებს ვერ მოიპოვებდნენ, იარაღს ან ნარკოტიკებს ჩაუდებდნენ ხოლმე მათი ხელიდან გაწირულ მსხვერპლს. მაგალითად, როგორ შეიძლებოდა საზოგადოებას ერწმუნა, რომ ქალაქში ავტომატური ცოცხლსასროლი იარაღით **“დათარეშობდა”** ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, პროფესორი ვლადიმერ ვახანია, რომელსაც ის ავადსახსენებლი ავტომატი სწორედაც რომ როლანდ ახალაიას ბინძური განაზრახით ჩაუდეს და ვახანიაც წლების განმავლობაში, სწორედაც რომ ახალაიას პირად პატიმრაც იყო მიჩნეული!

ახლა კი ეს არაკაცი და არაკაცების აღმზრდელი საქართველოს პარლამენტშია მოკალათებული და იქიდან გვმოძღვრავს უზნეოდ და უსინდისოდ!

მართლაც რომ მიგვიფურთხებია ამგვარი პარლამენტისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იქ უამრავი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობს. ვაშლებით სავსე კასრში ერთი ჭიანი ვაშლიც რომ გამოერიოს, თუ დროზე არ იქნა მოცილებული, მთელ კასრს დაალპობს და გამოუსადეგარად გახდის.

ამიტომ არის აუცილებელი პარლამენტარ როლანდ ახალაიას სასწრაფოდ მოცილება იმ კასრიდან, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწოდება.

ახლა კი, ისიც საკითხავია, რამდენად სამართლიანად ირჯებიან ახალი სამართალდამცავები. პოლიცია-პროკურატურის მხრიდან კორექტულობას დანატრებული ხალხისათვის ნამდვილად არაა დიდი განსხვავება – ქვეყანაში უსამართლობის სამსახურში ეთნიკურად არაქართველი (განა მისი ნაჯახის მსგავსი იერ-სახე ამის აშკარა დასტური არ გახლავთ?), კახეთში შემოთესლილი ვიღაც გადამთიელი ზურაბ ადეიშვილი ჩადგება თუ ბაღდადის ორღობეში გამოზრდილი არჩილ კბილაშვილი?

შედეგი ხომ ერთია – საზოგადოებაზე ძალმომრეობა და ხალხის მიმართ გამოვლენილი უსამართლობა! მაგრამ მაინც გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რადგან წინასწარ სასამართლო მოსმენაზე მოსამართლემ ძალაში დატოვა პროკურატურის მოთხოვნა ბაჩანა ახალაიას წინასწარ პატიმრობაში აყვანის თაობაზე, მაგრამ არ დააკმაყოფილა იგივე პროკურატურის მოთხოვნა ბრიგადის გენერლების კალანდაძისა და შაფათავას მიმართ და საკმაოდ დიდი თანხის გირაოს სანაცვლოდ გაანთავისუფლა ისინი სასამართლო დარბაზიდან.

ალბათ, **“ხელისუფლებად”** წოდებული მიხეილ სააკაშვილის ბანდის ბოგინის შავბნელი წლების გასვლის შემდეგ შეიქმნა იმის პრეცენდენტი, რომ სასამართლო მონურად არ დაემორჩილა პროკურატურის დასაბუთებულ მოთხოვნას და, თავის მხრივ, დაასაბუთა წინასწარ პატიმრობაში აყვანილი მაღალჩინოსნების განთავისუფლების აუცილებლობა. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, რომ, ყოველგვარი დარჩევისეული ირონიისა და ნიშნისმოგების გარეშე, ხმამაღლა მეთქვა ნაცებისათვის: **“კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახელმწიფოში, რომლსაც თქვენ ცხრა წლის განმავლობაში დაუნდობლად ებრძოდით და მის განადგურებას ესწრაფვოდით”!**

და თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს, მსოფლიოს არშემდგარ სახელმწიფოთა სამარცხვინო სიასაც დავაღწიოთ თავი.

ამით საქართველო კი არ შეიძენს, არამედ დაიბრუნებს იმ მძლავრ სახელმწიფოებრივ სტატუსს, რომელიც ჩვენ გვქონდა მაშინ, როცა სხვა ქვეყნების შვილები ბრბოებად დაეხეტებოდნენ დედამიწის წურგზე და იმის ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ, თუ საერთოდ რა გახლდათ სახელმწიფო. არა და, სამწუხაროა, რომ ყოველივე ამის ფონზე ჩვენ არამც თუ არა ვართ სახელმწიფო, არამედ არც კი ვგავართ სახელმწიფოს, რადგან ციხის კადრების გამომზეურების შემდეგ ნებისმიერ თავმოყვარე, შემდგარი სახელმწიფოს პრეზიდენტი ბოდიშს მოიხდიდა ხალხის წინაშე და უყოყმანოდ გადადგებოდა თანამდებობიდან. ეს მართლაც ურცხვი სულელი სააკაშვილი კი კვლავაც ყინჩად გამოგვეცხადება ხოლმე ტელეეკრანებიდან და გვმოძღვრავს, რომ თურმე ჩვენი ახალი ხელისუფლება არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს!

მართლაც სასაცილო, სატირალი და თავშისაცემი რომ არ იყოს, რადგან დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ არშემდგარ დიქტატორ სააკაშვილს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია სახელმწიფოებრიობასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე! მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ჯარი უნდა დაესუსტებინა, პოლიცია კი გაეძლიერებინა, რითაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქართველ ხალხს და ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ქვეყანა საკუთარ საფეოდალოდ გაეხადა!

იმიტომ, რომ, **“ნაცისტების”** მიერ ბრბოდ ქცეულმა ხალხმა ერთ მუჭა გათავხედებულ ადამიანებს კანონის უგულვებელყოფისა და ძალადობის უფლება მისცა!

ცივილიზებულ ქვეყნებში ხომ ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია!

არა და, ჩვენ არც კი ვიცით, საიდან იწყება ქართული ცივილიზაცია, რომელიც დაბერებული იყო მაშინ, როცა სხვა ცივილიზაციები ჯერ არ დაბადებულიყვნენ.

ჩვენ, მსოფლიო ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ხომ სასულიერო თუ საერო აკადემიები გვქონდა, სადაც სწავლობდნენ ევროპის ცნობილი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, რიტორები, მჭერმეტყველნი...

ღმერთო, დაგვიბრუნე ის საქართველო!

ამინ!

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ “ილორის” მთავარი
რედაქტორი,
საპატიო დოქტორი

მოგზაურობანი

“სამურზაყანოელი გლეხი შინ”. – ჩემი მასპინძელი გუშა. – აქაური გლეხის მოსახლეობა. – ფაცხის მორთულობა: გარდერობი, ბუფეტი, სახლის ავეჯი. – საზრდო გუშასი. – როდის არის გუშა ბედნიერი? – სულიერი მოთხოვნილება გუშასი. – მისი დარდი, მისი ეკონომიური იდეალი. – როდის შეეცვლება სახე გუშას პირველყოფილ ბრძოლას ცხოვრებასთან? – ერთი დამე გუშასთან. – ძველი ჩვეულება. – გამოთხოვება.

პატარა, ძუძუმწოვარა ბავშვმა, არა ერთხელ დაწყებული და შეწყვეტილი ტირილი კვლავ განაგრძო: მეძინებაო. დედამ ძუძუ ჩასჩარა პირში, რძესთან ჩააყოლა ბავშვმა თავისი ცრემლები და, ბოლოს, ზედ ძუძუზე მიეძინა. დედამ აიყვანა, აკვანში ჩააწვინა და, უფროსი ქალის დახმარებით, არტახები შემოაკრა. აქაური აკვანი ძალიან ვიწროა, განი მტკაველ-ნახევარი თუ ექნება, მაღალია და დანჯღრეული, ეტყობა ამ აკვანში გაზრდილა მამა სახლისა, ხუთი მისი შვილი და, ვინ იცის კიდევ რამდენი გაიზრდება ამ აკვანში!

ძუძუმწოვარამ დაიძინა. ცოტა იმაზე უფროსი ტახტზე აგორდა და ისიც ძილმა გულზე მიიხუტა. დიასახლისმა რაკი თავისუფლება იგრძნო, ვახშმის თადარიგს შეუდგა. მიუჯდა ფქვილით სავსე ტომარას (საკი), წინ დაიდვა ბარქაში (სარდა) და ფქვილის ცრა დაიწყო. ხოლო მისმა ტასიამ თუჯის ქვაბს დაავლო ხელი, სადილობისაგან ზედ შერჩენილი ღომის ქერქი დაჩლუნგებულის უტარო დანით მოაცილა და კუთხეში დაყუჩებულ წიწილებიან კრუხს დაუყარა. დაწმენდილი და გარეცხილი ხელიანი ქვაბი პირამდე წყლით მოჰყარა გოგონამა და, დედის დახმარებით, რკინის ნაჭრის მაგიერ ჭერზე დაკიდებულ ხის კავს ჩამოჰკიდა. ცეცხლს შეშა შეუკეთეს. დაგუგუნებულმა ცეცხლმა ათს წუთში აადუღა წყალი. დიასახლისმა სიმინდის ფქვილით სავსე ბარქაში გვერდით დაიდგა, მერე ადუღებულ წყალში მუჭა-მუჭა ყრა დაუწყო ფქვილს და თან ჩოგნით ურევდა, კავზე დაკიდებული ქვაბი ამასობაში, რა თქმა უნდა, ინძრეოდა, და მის შენძრევასთან ერთად პანტა-პუნტით ზევიდან ზოლ-ზოლად დაკიდებული მჭვარტლი წამოვიდა. მე თვალები ავარიდე ზრდილობის გულისათვის... რომ გასქელდა ღომი, დიასახლისმა ძირს ჩამოიღო ქვაბი. დადგა იქავ, კერის პირას, ჩართზე (ჩართი – მრგვლად, ქვაბის ძირის სიფართეზე, დაგრეხილი ვაზია ან უგრეხელა. ქვაბის ძირი შიგ კალაპოტივითა დგას, არ ინძრევა და ღომი მოხერხებულად იზელება შიგ) და სუთით (კირზა, **“გარგატსაც”** ეძახიან. გათლილი ჯოხია, მკლავის სიმსხო, ან ნაკლები, ერთი ალაბის სიგრძე) მაგრად ზელა დაუწყო. ხუთი წუთი ჰზელდა. მერე ისევ კავზე დაჰკიდა ქვაბი.

მე ისევ განვაგრძე ჩემი ექსკურსია ფაცხის მიდამოში.

მიმოვავლე თვალი **“ბუფეტს”**. ერთი თხმელის ფიცარია გათლილი, სიგრძე აქვს ორი ალაბი, განი 1/2 ალაბი. ეს ფიცარი დგას ოთხს ორ-ნახევარ ალაბიან ფეხზედ, რომლებიც ქვეშ განზე არის გაწეული, რომ ტაბლა უფრო მაგრად იდგეს. ზედ ალაგია: ბლის ფილი (ქვიჯე) თავისი ქვითა, ბუყუნი (ერთნაირი ხის ჭურჭელი) მაწვნის შესანახად, ხუთი ხის ჯამი ადგილობრივ გაკეთებული, ორი თეფში სინისა, 4 კოვზი ბზისა, ადგილობრივივე გათლილი. ტაბლის ახლოს კედელზე ეკიდა: ნიგა (საწველელი), მწარე გოგრის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი კვეთარისათვის და ოჩეჩე – ხის ჭურჭელი, რომელშიაც ახლად ამოღებულ ყველსა სდებენ, რომ შრატისგან დაიწრიტოს. ბუფეტის ახლოს იდგა ერთი თავმომტვრეული კოკა თიხისა და ერთი დოქი. ამ ორ ჭურჭლის დასადგმელ ალაგას გაუშრობელი ჭოჭი დგას. გუძას ფაცხაში აღუნუსხველი, გვგონია, არაფერი დაგვრჩება, თუ ყოველივე ზემოდდასახელებულს მივუმატებთ **“ტაბაკს”** – გრძელს, ოთხფეხიან ფიცარს, რომელზედაც პირდაპირ ღომს დააგებენ და წინ დაიდგამენ ხოლმე, სადილ-ვახშმის დროს. განი ტაბაკს 1/2 ალაბი აქვს, მისი სიგრძე კი ფაცხის წევრთა რიცხვზეა დამოკიდებული. ფეხები ტაბაკისა ორი მტკავლის სიმაღლეა, ასე რომ, როცა უსხედხართ, უნდა დაიხაროთ ხოლმე ღომის ასაღებად. როცა ჭამას გაათავებენ, ტაბაკს აიღებენ. მისი შესანახი ადგილი ფაცხის კედელია, ან შიგნით და, ან კიდევ აივანზე: კედელში ორი ჯოხია გაყრილი, რომლებზეც პირქვე დაამხობენ ტაბაკს, და იქა დევს, სანამ ხელმეორედ არ დასჭირდებათ სადილისათვის.

აჰა, მთელი ავლადიდება გუძასი. ერთ ღღესა გაყიდვა და ფულად ქცევა რომ მოუნდომოს გუძამ მთელ მორთულობას მისი ფაცხისას, მთელს ტუალეტს ამ ფაცხის წევრებისას, სულ ბევრი, ხუთი მანეთის პატრონი თუ გახდება. თუმცა გუძა თქმით კი იტყვის **“ღარიბადა ვარო”**, მაგრამ ეს სიტყვის თქმის მასალაა, პირის დასამშვენებელია, ამბობს იმიტომ, რომ სხვა ყველა მისი მსგავსი გლეხები ამას ამბობენ; ხმარობს ამ სიტყვებს იმიტომ, რომ პატარაობითვე ნაკლებულების მეტი არა გამოუცდია-რა და ამ მცნების გამომხატველი სიტყვები სულ პირზე აკერია.

გუძა კმაყოფილიც იქნება ხოლმე, თუ თავის სარჩო სიმინდს მოიწევს; კმაყოფილია, თუ სადილ-ვახშმად ფქვილის ღომი, ნაჭერი ყველი აქვს; უმეტეს კმაყოფილია გუძა, თუ თავის დედიშობილად მორბენალ ბავშვებს თითო ნარმის პერანგი ჩააცვა **“საღღვომოდ”**. გუძას სხვა ყველა საჭიროება, სხვა ყველა მოთხოვნილება – ხორციელი თუ სულიერი – ავიწყდება, როცა მოაგონდება საბედისწერო **“ფოშტის”** (სახელმწიფო გადასახადი) და მამასახლისმწერლის ფული. წელიწადი-თორმეტი თვე ერთ აზრსა ჰყავს მისი ფიქრი-გონება მიჯაჭვული ამირანივით, შეპყრობილი: დასახელებული გადასახადი როგორ მოვიშორო თავიდანო? ამ გადასახისთვის-ღა იდგამს გუძა წელებზე ფეხებს. დარწმუნებულია გლეხი, ჩემსავით შავი ღღის დაბადებული გლეხი, ამ გადასახადისთვის არის გაჩენილიო. არ არსებობს გუძასთვის ეკლესია; არ დასდევს, მისმა ბავშვმა წიგნი, იცის თუ არა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა ცითაფრენა შეუდგება, როცა ამ გადასახადს მოიშორებს, რომელიც დამოკლეს სატევარივით მის გაშავებულ ქედს დასცქერის საბედისწეროდ. თითქოს მძიმე ლოდი გადაუგორდა მაშინ გულიდანო. მაშინ მომავალ წლამდე განცხრომაშია, ნეტარობს: არხეინად ჭამს ფქვილის ღომს გაძღომამდე, საღამოს, მზის ჩასვლისას, იძინებს, მეორე ღღეს მზეს ისიც აჭყვება, რათა იმავ ფქვილის ღომით გაძღომისთვისვე იზრუნოს. წლითიწლობამდე ჩაჰკირკიტებს დედამიწას მანამდის, სანამ იმავე მიწას არ შეუერთდება მისი სხეული. მის ალაგას მისი შვილი ტაგუ ჩადგება, ისიც გუძასავით შეებრძოლება შავ მიწასა... და ვინ იცის, სანამ გაგრძელდება ეს პირუტყვული, პირველყოფილი ბრძოლა; ვინ იცის, როდის შეეცვლება ხასიათი და ფერი ამ ძაღლუმადურ ბრძოლასა?..

სანამ მე გუძას ავლა-დიდებასა და მისი ცხოვრების განხილვაში ვიყავ, **“ვახშამიც”** დამზადდა. ტასიამ დოქი აიღო და ხელი დამაბანინა. ამ წინასიტყვაობის შემდეგ წინ ტაბაკი დამიდგა, ხოლო დიასახლისმა ჩოგნით (**ჩოგანი** – ქვაბიდან ღომის ამოსაღები იარაღია. ერთი ალაბი პატარა ფიცარი ნიჩაბივით არის გაკეთებული, მხოლოდ ბოლოზე მომრგვალებულია) ორი **“დაგება”** ღომი ამოიღო ქვაბიდან და ტაბაკზე დამიგო ერთი-მეორეზე. მერე შიგ სულგუნი ჩამიჭრა და მითხრა: – **“მირთვით, ბატონოვო”**. გუძაც, ბოდიშის მოხდით, შორი-ახლო მიუჯდა ჩემს ტაბაკსა. ღვინის მაგივრად სუფრას ანკარა ცივი წყალი გვიმშვენებდა. გუძამ ბოდიში მოიხადა უღვინობისათვის. რა ვქნათ, ბატონო, ღარიბი კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათო!.. ნავახშმევს ტასიამ ისევ დაგვისხა წყალი და ხელი დაგვაბანინა.

ვახშამს აქ მაშინვე ძილი და განსვენება მოსდევს. იღბალი ჩემი, რომ ჩემს ხურჯინში საბანიცა მქონდა და საზამთრო გვაბანაკიც (პალტო). დიდი სამსახური გამიწია ერთმაც და მეორემაც. ჩემს თავს **“ბარაქალა”** ვუთხარი ასეთი წინდახედულებისათვის. როგორც შემეძლო, მოვაწყე ჩემი სარეცელი. ტასიამ, აქაური ჩვეულებისამებრ, ფეხთ გამხადა, პატარა ჯირკვი მოიტანა, რათა ზედ ფეხები დამეწყო, ძმამ ცივი წყალი დაუსხა და თვითონ კი ფეხები დამაბანინა. ვერ ვეურჩე ამ ძველს ჩვეულებასა, თუმცა კი, ჩემი ფეხებისათვის ტასიას შეწუხება ნამდვილად მეტი იყო.

ჩემმა სახელდახელო ლოგინმა აღტაცებაში მომიყვანა. თავთ მედო უნაგირის მტკიცე ბალიში, ქვეშ მეშალა დაკონკილი საბანი და ზევიდან კიდევ ჩემი საზამთრო გვაბანაკი მეხურა, ფაცხის ერთ მხარეს ტახტი მე დავიჭირე, ხოლო მეორე მხარეს – გუძამა და მისმა ფანიამ. დაწოლის დროს მარტო დამის სიბნელე იდგა ჩვენს შორის კედლად...

აი, ეს გახლავთ უფერ-უმარილო პროზა გუძასი, ამ ჩვენი ცხოვრების სვე-უბედური გერის ყოფნა-მდგომარეობისა!.. და, აი, ის **“მეგრული”** ფაცხაც, რომელმაც ჩვენს ნიჭიერ მგოსანს გ. ჭალადიდელს თავისი მშვენიერი ლექსი დააწერინა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

მეტი ყურადღება გალის რაიონს!

აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ლეონიდ ლაკერბაიამ, შვეიცარიის ჰუმანიტარული დეპარტამენტის ხელმძღვანელ მანუელ ბესლერთან შეხვედრისას, მადალი შეფასება მისცა რა საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობას აფხაზეთში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი მხრიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გალის რაიონს.

“ჩვენ ვთვლით, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა მოღვაწეობდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც აგვარებს ყველასათვის ფრიად მტკივნეულ საკითხს – უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძებნას”, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ლაკერბაიას თქმით დიდ სამუშაოს ეწევა ორგანიზაცია **“ექიმები საზღვრებს გარეშე”**, რომელთაც უნდა ეთხოვოს, რომ კიდევ ერთი წლით გააგრძელონ ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამა, რადგან 2013 წელს მწყობრში ჩადგება მთლიანად რეკონსტრუირებული ტუბსაავადმყოფო. ლაკერბაიამ ასევე აღნიშნა **იუნისეფ**-ის მიერ ჩატარებული აცრების ეფექტურობა, რისი წყალობითაც უამრავი აფხაზი ბავშვის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი.

რაც შეეხება სხვა უცხოურ ორგანიზაციათა საქმიანობას, ლაკერბაიას სიტყვებით, აფხაზეთის ხელისუფლებას, კონკრეტული აზრი გაჩნია მათ როლზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოწესრიგებისა და ხალხის ყოფითი პრობლემების გადაჭრის საქმეში.

“აქ სიტუაცია სხვაგვარია, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ორგანიზაციებს საკმაოდ მწირი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ საიმისოდ, რომ უკეთესობისკენ შეცვალონ მდგომარეობა მთლიანად აფხაზეთის მასშტაბით, – განაცხადა პრემიერმა, – **იმ ფინანსური და მატერიალური დახმარების გათვალისწინებით, რასაც ჩვენ რუსეთის ფედერაციიდან ვიღებთ, ასევე საკმაოდ გაძლიერებული საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენ ეფექტურ ღონისძიებებს გავატარებთ მთლიანად რესპუბლიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციებს კი ვთავაზობთ, რომ მათ ძირითად მიზნად დაისახონ გალის რაიონისადმი ხელშეწყობა”.**

ლეონიდ ლაკერბაიას თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა და აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გაღებული ფინანსები საშუალებას იძლევა, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს მდგომარეობა ამ სასაზღვრო რაიონში.

საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნის სიკეთე

საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა რეგიონის სტაბილიზაციის მძლავრი სტიმული იქნება. ამგვარი აზრი სულ უფრო ხშირად ჟღერდება აფხაზურ და ქართულ ინტერნეტსაიტებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს სათავეში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შედეგად, ახალი პოლიტიკური ძალა – **“ქართული ოცნება”** მოვიდა. ამავე დროს, ხაზი ესმება იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება და იგი კვლავ განაგრძობს სვლას **ნატო**-სა და ევროკავშირისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს აშკარად არა აქვს ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა, იგი მაინც ჯიუტად არ იცვლის პოზიციას. **ნატო**-სათვის კი ინტერესს წარმოადგენს არა კავკასიის რომელიმე ცალკეული სახელმწიფო, არამედ მთლიანად რეგიონი.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, რომელიც სწორედ სააკაშვილის მმართველობის ჟამს გავიდა ყოველგვარი პოლიტიკური საზღვრებიდან, ახალი ხელისუფლება ამ ურთიერთობათა გამწვავებას აღარ დაუშვებს. ამის იმედს იძლევა საქართველოდან რუსეთისაკენ წასული დადებითი შინაარსის მესიჯები: თუნდაც საქართველოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში და საქართველო მალე აღადგენს რუსული ტელეარხების გადაცემებს. იგივე დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა, რაც უშუალოდ დააკავშირებს ერთმანეთს საქართველოსა და რუსეთს. პოლიტიკოსები ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ამბობენ რუსეთის რეაქციაზე ამგვარი გამოწვევების მიმართ, მაგრამ ერთხმად აღნიშნავენ, რომ ყოველივე პოზიტიური ძვრა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ჯერ ერთი, რუსეთი არ მალავს, რომ რკინიგზის ხაზის გახსნა დიდ როლს ითამაშებს რეგიონში საერთო სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, მეორეც, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაციის ფონზე, ეს სარკინიგზო ხაზი ბევრად გააძლიერებს უსაფრთხოებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია რუსეთისათვის. პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ მიუხედავად საქართველოსთან არსებული რიგი უთანხმოებებისა, რუსეთი მაინც პოზიტიურად მიუდგება აღნიშნულ საკითხს და საქმეც მალე დაიძვრება მკვდარი წერტილიდან.

ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თავად აფხაზების მოთხოვნებიც, რომლებიც, როგორც ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი, რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღებას შეეცდებიან აღნიშნული საკითხის მოგვარებისას. ამასთან, ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აჟღერებენ ლოზუნგს: **“დამოუკიდებლობა არა მხოლოდ საქართველოსაგან”.** ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული აზერბაიჯანელთა პოზიციაც, რომლებსაც დიდად არ სიამოვნებთ რუსეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთთან. გარკვეული შეკითხვები გაუჩნდება ალბათ თურქეთსაც.

ექსპერტებს არც თუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით ყველაზე მეტად სომხეთი უნდა იყოს დაინტერესებული და მან ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესებს, მაგრამ არა საჯაროდ, რათა აზერბაიჯანი არ გააღიზიანოს.

“საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა რეგიონის სტაბილიზაციის მძლავრი სტიმული იქნება,” – ერთხმად აღნიშნავენ პოლიტიკოსები და ექსპერტები. და რაც მთავარია, ეს ახალ იმედებს ჩაუსახავს საქართველოს, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია **“ჩრდილოური საფრთხის”** განცდა.

გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო “აფსნი პრესის” მასალები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციური მოწყობის ისტორიაში ძნელია მოიძებნოს ქვეყანა, სადაც, 10-15 წლის განმავლობაში, ისე უდიერად მოპყრობოდნენ სახელმწიფოს ძირითად კანონს, როგორც ეს საქართველოში მოხდა. პარლამენტის შემადგენლობის დღევანდელი უმცირესობა ამ ნგრევის უშუალო ორგანიზატორი ან მონაწილეა, უმრავლესობის შემადგენლობაში კი არიან დეპუტატები, ვინც თავის დროზე წინააღმდეგობა გაუწია ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპებისა და პროცედურების უგულებელყოფას. გასაგებია, რომ მათ ვერ შეძლეს შეეცვალათ მმართველი პარტიის ვოლუნტარისტული მიდგომა კონსტიტუციისადმი.

დღეს როცა პარლამენტში უმრავლესობაში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც არ არის დამძიმებული წარსულის სამარცხვინო მემკვიდრეობით, აუცილებელია გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად; ამდენად, მიზნის მისაღწევად, საზოგადოებას, განსჯისა და მოქმედებისათვის ვთავაზობთ, ჩვენი აზრით, ეფექტიან სამართლებრივი გზას.

დასაწყისისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წელს ჩაშლილი საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილებები, რის საფუძველზეც ექვსი თვით უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა პარლამენტის ძველ შემადგენლობას, რომელიც პირველ რიგში იყო პასუხისმგებელი არჩევნების კანონიერად ჩატარებაზე; ჯერ დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები და არა ჩაშლილი საპარლამენტო არჩევნები; უკანონობა გახლდათ ის, რომ ექვსი თვის შემდეგ არჩევნები ხელახლა ჩატარდა მხოლოდ პროპორციული წესით, ხოლო მაჟორიტარული მანდატებით არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება უმაღლესი სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა ცნობილი. ძნელია მოძებნო ამომრჩევლისა და დეპუტატის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების ასეთი ციინიკურად შელახვის მაგალითი. მხოლოდ ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მოფინა ნათელი ჩანაფიქრის სიმუხთლეს – ფაქტობრივ ტყვეობაში მყოფმა ძველი შემადგენლობის პარლამენტმა 2004 წლის 6 თებერვალს, კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა პროცედურის უხეში დარღვევით მოახდინა ცვლილებები, რითაც ძირფესვიანად შეცვალა მმართველობითი სისტემა და ხელისუფლების ავტოკრატიული უზურპაცია მოახდინა. ამის შედეგად ქვეყანა ფაქტობრივად გავიდა კონსტიტუციური სივრციდან. უნდა ითქვას, რომ იმ შემადგენლობის თექვსმეტმა დეპუტატმა, რომელთა შორის ზოგიერთი დღევანდელი პარლამენტის წევრიცაა, ჯერ წერილობით, ხოლო შემდგომ დია სხდომაზე, საჯაროდ განაცხადა პროტესტი შემდეგი სიტყვებით: **“დემოკრატია საფრთხეშია”.** ნათელია, რომ იგი არ იქნა შესმენილი.

ამრიგად, 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობის მიერ და ამის საფუძველზე დაიწყოს უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღებული სხვა უკანონო კონსტიტუციური ცვლილებების გადასინჯვაც.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი დაშვებულ იქნა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გავლენიანი დემოკრატიული სახელმწიფოების წაყრუებით, რამაც ქვეყანა უმძიმეს შედეგამდე მიიყვანა.

დღეს საქართველო დგას რთული არჩევანის წინაშე – დარჩეს საერთაშორისო სამართლითა და კონსტიტუციური კანონმდებლობით უარყოფილ სათაკილო კონსტიტუციის მემკვიდრედ, თუ უარი თქვას ახლო წარსულის უსამართლობაზე და მოკლე დროში რადიკალურად გამოასწოროს ვითარება. მხოლოდ ასეთი მოქმედებები აამაღლებს ქვეყნის დემოკრატიულ პრესტიჟს საერთაშორისო სარბიელზე და დაარწმუნებს მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას, რომ საქართველო ჭეშმარიტად და არა ფორმალურად დაადგა დემოკრატიზაციის გზას.

ეჭვსგარეშეა, ამგვარ ნაბიჯებს ექნება დიდი მხარდაჭერა ქართული საზოგადოების მხრიდანაც, რომელიც წლების განმავლობაში მართლაც რომ მონატრებულია მასშტაბური სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

იმედია, ქვეყნის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას და ქვეყანაში აღადგენს კონსტიტუციურ წესრიგს; ქართველი ამომრჩევლის ნება გახლავთ ის, რომ მკაცრად აგებინოს პასუხი მათ, ვინც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული საკუთარი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს წინაშე, რათა მომავალში სამუდამოდ აღიკვეთოს პოლიტიკოსთა თვითნებობა.

2007 წლის მასობრივი საპროტესტო აქციების შემდეგ საქართველოში კიდევ ერთხელ და უხეშად დაირღვა კონსტიტუცია, როცა, კონსტიტუციის 70-ე მუხლში ცვლილებების შეტანის გარეშე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თვითნებურად, ერთი წლით შეიმცირა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა და ნდობის დადასტურების მიზნით, დანიშნა არა რეფერენდუმი ან პლებისციტი, არამედ საპრეზიდენტო არჩევნები. და რაც მთავარია, ვადაზე ადრე გადამდგარმა პრეზიდენტმა კვლავ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, რაც მოქმედი კონსტიტუციით არ იყო გათვალისწინებული. ყველას ახსოვს თუ როგორი ძალადობით მოხდა 2008 წლის იანვარში თავხედურად გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმაცია, რაც ფაქტიურად ხელისუფლების განმეორებითი უზურპაცია გახლდათ.

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დეფაქტო პრეზიდენტს უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა ეწურება 2013 წლის იანვარში, ხოლო ყოვლად უკანონო კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად ეს ვადა 10 თვით არის გაგრძელებული. ე. ი. ამჯერად სააკაშვილი კიდევ ერთხელ თვითნებურად იხანგრძლივებს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადას.

მსოფლიოს სამართლებრივი პრაქტიკაში, და რაც მთავარია, საქართველოს კონსტიტუციაში არ არსებობს მუხლი, რომლის ძალითაც ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს გაუგრძელდება ან შეუმცირდება კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადა. კანონი მხოლოდ ვადამდელი არჩევნების პრაქტიკას იცნობს და არა მის გაგრძელებას ან შემცირებას.

აუცილებელია აღსრულდეს საქართველოს ამომრჩეველთა პოლიტიკური ნება, რადგან სწორედ მათ შეძლეს ურთულეს პირობებში, თავისუფალი ნების გამოხატვის გზით, შეეცვალათ მოძალადე, უზურპატორი ხელისუფლება და უნდა დაინიშნოს მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის იანვარში. ყველა მოსამზადებელი სამართლებრივი პროცედურა შესაძლებელია დასრულდეს ნოემბრის თვეში და გატარდეს შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებები. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ კონკრეტული წინადადებები, თუ რა გზით არის შესაძლებელი ამ ამოცანის განხორციელება.

კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა, რომელმაც თავის დროზე გააფრთხილა მოქმედი ხელისუფლება, ოპოზიციური ძალები, აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები, იძულებული გახდა კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე სარჩელით მიემართა კონსტიტუციური სასამართლოსთვის, მაგრამ როგორც ყოველთვის, მივიღეთ ფორმალური უარყოფითი პასუხი.

ლიგის დამფუძნებლები მოგმართავთ თხოვნით, დაუყოვნებლივ შეუდგეთ საქმეს. მხოლოდ ენერგიული, მიზანდასახული მოქმედებების შედეგად არის შესაძლებელი აღდგეს კონსტიტუციური წესრიგი და ამის საფუძველზე ქვეყანაში დაიწყოს სასურველი პოლიტიკური და მასტაბილიზებელი სოციალ-ეკონომიკური პროცესები.

კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგის წევრთა სახელით,

ᲑᲐᲙᲣᲠ ᲒᲣᲚᲣᲐ,
ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

“ᲚᲐᲖᲘ ᲕᲝᲠᲔ, ᲚᲐᲖᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲭᲐᲜᲘ”



საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა ფილმის **“ლაზი ვორე, ლაზი – ქართველი, ჭანი”,** აუდიო-ვიდეო დისკის **“შურიმშინე”** და გიორგი ანდრიაძის წიგნის **“უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი)”** პრეზენტაცია.

ფილმის **“ლაზი ვორე, ლაზი – ქართველი, ჭანი”** რეჟისორი ცნობილი კომპოზიტორი, მერაბ მამულაშვილია, მან და პროდიუსერმა გიორგი ლაბაძემ მართლაც საშური საქმე გააკეთეს, გადაიღეს ფილმი ლაზ ჰასან ჰელიმიშზე, თვითნასწავლ მხატვარსა და ხალხურ მთქმელზე. ფილმში შესულია ჰასან ჰელიმიშის ქალიშვილის ნაამბობი, რაც განსაკუთრებით ღირებულია ისტორიისათვის.

ლაზი მხატვარი და პოეტი ჰასან ჰელიმიში დაიბადა თურქეთის ლაზეთის სოფელ ხოფაში. უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური კუთხე – ლაზეთის ლურჯი ზღვა და სამშობლო – საქართველო. ნიჭიერ ყმაწვილს იმისი საშუალება არ მისცემია, რომ სიღრმისეული განათლება მიეღო, მაგრამ მან ისეთ სულიერ წიაღსვლას აუღო ალღო, რომელმაც იშვიათ და საინტერესო ხელოვანად ჩამოაყალიბა. შეუძლებელია გულგრილი დარჩე ჰასან ჰელიმიშის ბიოგრაფიის მოსმენისა და მისი ნამუშევრების ხილვის შემდეგ.

საკუთარ თავს, როგორც თურქეთის მოქალაქეს, განაჩენი მაშინ გამოუტანა, როცა არალეგალურად დაიწყო სარფში გადმოსვლა და აქაური ნათესავების მონახულება. ლაზი იყო – ქართველი, ჭანი და გული საქართველოს იმ ნაწილისკენ მოუწევდა, მისთვის გაუგებარი საზღვრით რომ იყო განკვეთილი. ამას ვინ აპატიებდა და თურქეთის მთავრობამ, როგორც მოღალატეს, სიკვდილის განაჩენი გამოუტანა... დახვრეტდნენ კიდეც, რომ არა მისი სიძე – თურქეთის მაშინდელი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, რომელმაც ცოლისძმა ჯერ ციხიდან გააპარა, შემდეგ კი საზღვარზეც გადმოიყვანა. ამის გამო კი თავად დახვრიტეს...

ამ ყველაფერს ფილმში ნარიმა ჰყვება – ჰასან ჰელიმიშის უმცროსი შვილი, გოგონა, რომელიც გადასახლებაში დაიბადა – ტომსკის რაიონში, მდინარე ნარიმას პირას... იქ ჰელიმიში ორსულ მეუღლესთან და ერთ ვაჟთან ერთად უკვე საბჭოთა საქართველოდან გადაასახლეს, როგორც არასანდო.

ფილმს ეტყობა კომპოზიტორის გადაღებული რომ არის, რეჟისორი, როგორც მუსიკას, ისე მისდევს კადრებს და ზღვის ულამაზესი ხედების წიაღიდან ადამიანის შემოქმედებითი ზეობის დასტური მუსიკა შემოაქვს. ჰელიმიშის სურათების ფონზე ეს მუსიკა ქმნის მთავარ დრამას ადამიანისას, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პროფესორ სერგი ჯიქიას მიწვევით უნივერსიტეტში მუშაობდა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე თურქული ენის პრაქტიკულ კურსს უძღვებოდა, მერე უმუშევარი დარჩა და მეწაღეობას მიჰყო ხელი, რითიც ბოლომდე ირჩენდა თავს... მაგრამ არც უნივერსიტეტში სამსახურსა და არც მეწაღედ მუშაობას არ შეუცვლია მასში მთავარი – სულიერება და სიყვარული ერთიანი საქართველოსი, რომლის საზღვრით გაკვეთა საკუთარი სხეულის ნაწილებად გაკვეთის ტოლფასად სტკიოდა. არ შეუცვლია ის სიღრმისეული განცდა ლაზეთის ცისა და ზღვის, რომელმაც ჩამოაყალიბა, როგორც შემოქმედი...

ჰელიმიშის სურათების უდიდეს ნაწილში ზღვა მოჩანს. (გარდა იმ სურათებისა, რომელიც ციმბირში ცხოვრების პერიოდს ეხება). ეს არ არის აივაზოვსკისეული ზღვა – დიდი სიზუსტითა და ოსტატობით გადმოცემული, ეს იმ ზღვის **“შინაარსია”**, რომლის პირასაც გაიზარდა. მერაბ მამულაშვილის ფილმი სწორედ ამ შინაარსზე მოგვითხრობს...

ჰასან ჰელიმიში გარდაიცვალა 1976 წლის 2 მარტს. დასაფლავებულია საქართველოში, სოფელ სარფში, იქ, სადაც თავად უნდოდა, რომ მშობლიურ ხოფასთან ახლოს ყოფილიყო...

კულტურული იდენტობა – ეს სიტყვები ძალიან ხშირად ისმოდა პრეზენტაციაზე.

გოგონათა კვარტეტი **“შურიმშინე”** ლაზურ სიმღერებს მღეროდა. გიორგი ანდრიაძე კი იმ მეცნიერულ საფუძვლებზე მოგვითხრობდა, რომელიც ლაზეთის მიწაზე ქვათა ღაღადისად შემორჩა დღევანდელობას.

სულ არ არის შორი დედასაქართველოს მოწყვეტილ ლაზეთამდე, მითუმეტეს თუ გულს გაუღებ იქაურ მოყვასს...

ᲐᲗᲐᲥ ᲛᲝᲙᲝ ᲛᲐ ᲛᲝᲮᲕᲐᲠᲐ

მოკო ჩქიმი გაჭირება
ასე იფრელ ქოფთქუენი,
ბედი სირე გონდურუქ დო
პასუხ მოკო მორთხუენი.
მუდღაშარე მომყუნინი
მოკო პიჯის გიწუენი,
თიშენ რთხულენქ ორაგადეთ
დუდი ქაწომძირუენი.
მა ირო ხე ქომინწყუე
შხვაშა ვეგნმოპირუენი,
ჩქიმ ნათხუა შემისრულე
გური ვეგნომყუნუენი.
ქორთხინქ ვადმაჩიჩუედო
განთხის ქიგმორინუენი,
სირჩინუე ჩამრცხინუე
ბოშალა დომირთინუენი.
თაშ ვექშურცდა თიდროს ქორთხინქ
თოლსინთე მემდინუენი,
ოსურეფიშ ქვითალ ჩხეშა
თოლჩა ვაწომძირუენი.
ათაქ მოკო მა მოხვარა
იმენდ ვემიმდინუენი,
ჩხეშა ქანაშ ოსხუნური
გვალო ვეკომძირუენი.
ვორწყექ ქომოლკოჩის გური
შურო ვანორჩინუენი,
მადაშა აძინუ ვარა
დღასუთ ვანოშირუენი.
მარა ვორწყექ გვალო ღურელც
მუთუნ ვანოხვარუენი,
ინა ვართ გიშეკურცხინე
მუდგა ვაუღარუენი.
უჩა ბედი სი ხომ ქარწყექ
გური ვანორჩინუენი,
თიშენ რთხულენქ ჩქიმი გური
თინათ გინომრთინუენი.
თე გაჭირებაშე რსხება
მუფქიმინა ვართხუენი,
ეშ ოსური მუშოთ მოკო
ნორჩალც ქიმთომდვატუენი.
შურ დო გურით გირაგადუქ
გოკონ გვალო დოპჭყუენი,
ცოდა იპიქ ჩქიმ ნათხუა
ყუჯშა ვეგლეფაჩუენი.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲨᲝᲜᲘᲐ

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინფორმაცია

(ვისი სახელი გვქვია)

ილორის ტაძარი მე-11 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. იგი ოჩამჩირის რაიონში, სოფლის შუაგულშია აღმართული. აქ ლოცულობდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს იგი სავალალო მდგომარეობაშია — დადგმული აქვს აშკარად არაქართული გუმბათი, თეთრადაა გადაღებილი გარე ფასადი, კედლების ნაწილი.

ეს ქართული კვალის წაშლის ცდაა. წირვა-ლოცვა იქ 90-იანი წლების ბოლოდან შეწყდა. მრევლს ენატრება მშობლიური ტაძარი. სწორედ ამ მონატრების გამოხატულებაა ის, რომ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდთან, ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მეტოქიონი (დაქვემდებარებული) ტაძარი შენდება. მშენებლობის იდეა ოჩამჩირელ ექიმს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს – წმ. გიორგის ოქროს ორდენის კავალერ ზურაბ ჩიქოვანს ეკუთვნის, იგია მშენებლობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელიც.

“– ეს იქ, იმ ტაძარსა და აქ მშენებარე ტაძარს შორის დამაკავშირებელი სულიერი ძაფი იქნება, – ბრძანა ბატონმა ზურაბმა. **– 300 000 მლოცველი, რომელიც იმ ტაძარს დააკლდა, დღეს აქ აღავლენს ლოცვას. ტაძარი შემოწირულობებით შენდება, მუშებიც კი უანგაროდ მუშაობენ. ტაძარი ჯერ აშენებული არ არის, მაგრამ მას თავისი მრევლი უკვე ჰყავს. მისი მოძღვარი გაგრელი მამა ლევანია (ჯანაშია)... აფხაზეთში დაბრუნებამდე მინდა აშენდეს. ამ საქვეყნო საქმეში ხალხი უეჭველად თავის წვლილს შეიტანს. აფხაზეთის სალოცავების მადლი ჩვენს მიწაზე დაგვაბრუნებს”.**

მამა ლევანი (ჯანაშია): – აფხაზეთის მკვიდრმა საზოგადოებამ 2011 წელს მიმართა თხოვნით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ თბილისში მათი უშუალო ხელმძღვანელობით დაწყებულიყო ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რაც მისმა უწმინდესობამ მოიწონა, მშენებლობის კურთხევაც მისცა. საკითხავი იყო შემდეგი – თბილისის რომელ უბანში იქნებოდა შესაძლებელი ამ ტაძრის აშენება. უწმინდესმა არჩევანი თავად ამ ჯგუფს მიანდო. ეს საკითხი ბატონ ზურაბ ჩიქოვანის დახმარებით გადაწყდა. მან ქალაქის ცენტრში, ვახუშტის ხიდთან, აგლაძისა და ხოშარაულის ქუჩებს შორის მდებარე სკვერში პირად საკუთრებაში არსებული 1.337 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა საპატრიარქოს, ასევე მანანა ფანცულაიამ (ბუბუტეიშვილმა) მომიჯნავე 1337 კვ. მეტრი ნაკვეთი შესწირა საპატრიარქოს.

ეს ფართი იძლეოდა საშუალებას, რომ ტაძარი საშუალოზე დიდი ზომის ყოფილიყო. საპატრიარქოს არქიტექტურულმა საბჭომ დაამტკიცა თემურ ბერიძის, დავით თაყაიშვილისა და ნიკოლოზ ემხვარის პროექტი, რომელიც მისმა უწმიდესობამ მოიწონა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ამ უდიდესი ტაძრის წინამძღოლობა.

იმ დროს მე სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე მდებარე მაცხოვრის ამაღლების ტაძრის მღვდელმსახური გახლდით. სწორედ ამ ტაძარში შევიტყვე ბატონ თემურ ბერიძისა და დავით თაყაიშვილისაგან, რომ საპატრიარქოში უწმიდესთან ჩემი შეხვედრა უნდა მომხდარიყო.

ამ შეხვედრაზე მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით დაიწერა ბრძანება ჩემი მშენებარი ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დადგინებისა. დღესდღეობით, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ გართულდა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. ტაძრის მოცულობაც საკმაოდ დიდი და სპეციფიკურია, ამიტომ უწმიდესის ლოცვა-კურთხევის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჯერ მცირე ზომის ბაზილიკის ტიპის ტაძარი აგვეგო, რომელსაც 2011 წლის 12 სექტემბერს ჩაეყარა საფუძველი და ერთი წლის თავზე დასრულდა მისი გამშვენება, იგი წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა. ტაძარში კიდევ ერთი მღვდელმსახური – დავით კონჯარია მოღვაწეობს, რომელიც გულრიფშიდანაა. ტაძარში როგორც აფხაზეთის მკვიდრი ქართველები, ასევე აფხაზი ეროვნების ადამიანები მოდიან და თავად იღებენ მონაწილეობას მის გამშვენებაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ზურაბ ჩიქოვანის დახმარება საპატრიარქოსადმი მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, ასევე მერაბ ემხვარი, ალექსანდრე წულაია, რომლებმაც განსაკუთრებული ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობას.

ასევე უნდა აღინიშნოს ლორენცო შარანგია, ალექსანდრე კუჭუხიძე, თამაზ გოგინაშვილი, თემურ დანელია და კიდევ ძალიან ბევრი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ერთ-ერთი მიზეზი თბილისში ილორის წმინდა გიორგის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისა გახლავთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების პრობლემა; ისიც, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ხელი არ მიგვიწვდება ამ მხარეში მდებარე უდიდეს სიწმიდეებზე, მათ შორის ყველასათვის ცნობილ და საყვარელ ილორის წმინდა გიორგის ტაძარზე, არც ქართველ და არც სხვა ეროვნების ადამიანებს.

ეს ტაძარი იყო და მუდამ იქნება ქართველთა და აფხაზთა სულიერი ერთობის ადგილი.

ვისურვებდით, თბილისში წამოწყებული ეს უდიდესი საქმე წინაპართა საერთო ღირებულებების აღდგენისა და განახლების საწინდარი გამხდარიყოს”.

ილორის წმ. გიორგის ტაძრის მეტოქიონი

ჩვენებურები

თათუშა შურღაია-თორდია გამორჩეული ადამიანია თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ქალბატონმა თათუშამ დაამთავრა რა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იურისტის პროფესიას დაეუფლა, მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმში. 1949-1953 წწ. ნოტარიუსი იყო, 1953 წლიდან 1993 წლამდე – ადვოკატი. ამავდროულად 1977-1990 წლებში ქ. სოხუმის აღმასკომის იურისტად მუშაობდა. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. საზოგადოება **“ცოდნის”** ეგიდით ლექციებს კითხულობდა წარმოება-დაწესებულებებში. იგი მთელი ცხოვრება ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურა და მიუხედავად თავსდატეხილი დიდი უბედურებისა – მეუღლის, გამორჩეული იურისტის ვალერიან თორდიას, გარდაცვალებისა და მალევე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა, ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. უკვე დევნილი თბილისში განაგრძობდა მუშაობას ნოტარიუსად. მისი საქმიანობა დაფასდა კიდევაც – ქალბატონი თათუშა ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრი გახდა.

ეს სანდომიანი ქალბატონი მუდამ სიყვარულითა და სითბოთია გარემოცული, რადგან სიყვარულსა და სითბოს უხვად აფრქვევს თავადაც. მასთან ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებს ყველას – ახლობელსა თუ უცნობს, მისი დიდი ოჯახის წევრს თუ სხვას. ოჯახი კი მართლაც დიდი აქვს ქალბატონ თათუშას: სამი შვილი, ცხრა შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. ღმერთმა უმრავლოს!

გულითადად ვულოცავთ ქალბატონ თათუშას 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ჩვეულ შემართებას. კიდევ დიდხანს ყოფილიყოს იმედიანობისა და სამართლიანობის მაგალითი.

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

პირველმოწამე თეკლა

პირველმოწამე თეკლა ქალაქ იკონიაში დაიბადა. იგი დიდგვაროვანი და მდიდარი ოჯახის შვილი იყო და გასაოცარი მშვენიერებით გამოირჩეოდა. თვრამეტი წლის თეკლა დიდებულ ჭაბუკზე, თამვირზე დანიშნეს,

მაგრამ ნეტარმა იმ ხანებში ქალაქში ჩასული პავლე მოციქულის ქადაგება მოისმინა, მთელი გულით შეიყვარა მაცხოვარი და მტკიცედ გადაწყვიტა, ქალწულება დაემარხა ქრისტესთვის.

წმიდანს დედა აიძულებდა, გათხოვილიყო. თეკლას საქმრომ ქალაქის თავთან დაასმინა პავლე, **“დააკლებს ჭაბუკებსა ცოლებისაგან და ქალწულებსა ქმრებისაგან, რამეთუ შჯულის-მდებლობს უქორწინებლობასა”**. მოციქულთა თავი შებოჭეს და საპყრობილეში ჩააგდეს. წმიდა თეკლა ღამით გაიპარა სახლიდან, დილეგის მცველები მოისყიდა და პავლეს საკანში შეაღწია. სამი დღე იჯდა ქალწული წმიდანის ფეხებთან, უსმენდა **“ყოვლისა თაფლისა და გოლისა უტკბილეს”** მის სწავლებას და სარწმუნოებაში აღორძინდებოდა. როცა თეკლას გაპარვა შენიშნეს, მშობლებმა ყველგან მსახურები დაგზავნეს მის საძებნელად. ბოლოს ნეტარს საპყრობილეში მიაკვლიეს და ძალით წაიყვანეს შინ.

მთავარმა პავლე **“განშოლტვილი განჭადა ქალაქით”**. თეკლას კიდევ დიდხანს შეაგონებდნენ, დათანხმებულიყო ქორწინებაზე, მაგრამ ვერც დედის ცრემლებმა და რისხვამ, ვერც მთავრის მუქარამ ვერ შეძლო ზეციური სიძის – უფალ იესო ქრისტეს სიყვარული მიენავლებინა მასში. მაშინ დედამ დაივიწყა ყველაფერი და, გააფთრებულმა, თავად მოსთხოვა მსაჯულს, სიკვდილით დაესაჯა მისი ასული. თეკლას ცეცხლში დაწვა მიუსაჯეს. მარტვილი პირჯვრის გადასახვით უშიშრად ავიდა კოცონზე. ამ დროს მას თავად მაცხოვარი გამოეცხადა, რომელმაც აკურთხა წმიდანის მომავალი ღვაწლი და მისი სული გამოუთქმელი სიხარულით აღივსო. ცეცხლის ალი მაღლა ავარდა, მაგრამ თეკლას არ შეხებია – რკალად შემოერტყა გარს. უეცრად ცამ იჭექა, სეტყვანარევმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა და ცეცხლი ჩააქრო.

დამფრთხალი ჯალათები დაიფანტნენ, უვნებლად დაცულმა მოწამემ კი დატოვა ქალაქი და ერთი ჭაბუკი ქრისტიანის დახმარებით პავლე მოციქული მოძებნა. წმიდა პავლესა და მის თანამგზავრებს, მათ შორის მოციქულ ბარნაბას, ქალაქის მახლობლად, გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი და მხურვალედ ლოცულობდნენ, რომ უფალს ტანჯვათა შორის განემტკიცებინა თეკლა. წმიდა ქალწულმა ანტიოქიამდე მათთან ერთად იარა, მაგრამ ხიფათს მაინც ვერ დააღწია თავი. აქ ერთი დიდებული, სახელად ალექსანდრე, მოიხიბლა მისი მშვენიერებით და მისი ხელში ჩაგდება მოისურვა.

ჭაბუკი ვნებებს ვერ იოკებდა, **“ურცხჳნოდ მოეხუეოდა მას და ესრეთ უბანთა ზედა ჰკოცნიდა”**. თეკლა **“გარემიაქცევდა მას და განაგდებდა”,** ბოლოს კი მოსასხამი ჩამოახია, გვირგვინი მოჰხადა და **“განქიქებულყო ყოველთა ზედა”**. ალექსანდრემ ვერ აიტანა შერცხვენა და მთავარს მიჰგვარა წმიდანი. მტარვალებმა მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ორჯერ მიუშვეს ნეტარზე დამშეული მხეცები, მაგრამ მათ არაფერი ავნეს წმიდანს. ბოლოს თეკლა ორ ხარზე დააკრეს, შემდეგ გახურებული რკინებით ნაღირები გაახელეს, რომ სხვადასხვა მხარეს გაქცეულიყვნენ და ქალწული დაეგლიჯათ, მაგრამ, ღვთის ნებით, ხარები ადგილიდან არ დაიძრნენ, მაგარი ბაწრებიც ობობას ქსელივით გაწყდა და წმიდანს არაფერი დაშავებია. ხალხმა იხუვლა: **“ერთ არს ღმერთი თეკლასი, ერთ არს ღმერთი: რომელმან განარინა თეკლა!”**

თვითონ მმართველიც მიხვდა, რომ მარტვილს ყოვლადძლიერი ღმერთი მფარველობდა და ბრძანა, ქრისტეს მხევალი გაეთავისუფლებინათ. პავლე მოციქულის კურთხევით, წმიდანი ისავრიის სელევკიასთან, კალამონის უდაბური მთის გამოქვაბულში დამკვიდრდა და მრავალი წელი დაჰყო აქ ღვთის სიტყვის ქადაგებით. თეკლამ.

ურიცხვი კერპთმსახური მოაქცია ქრისტეს სჯულზე – ეკლესია ღირსად უწოდებს მას მოციქულთასწორს.

თეკლას უფლისგან სასწაულებრივი კურნების ნიჭიც ჰქონდა მიმადლებული და ყველას უსასყიდლოდ კურნავდა. ამის გამო წარმართი ქურუმები აღდგნენ მის წინააღმდეგ. უღმრთოები თვლიდნენ, რომ თეკლა **“ღვთაება”** არტემიდემ შეიყვარა უბიწოების დაცვისათვის და საკვირველთქმედების ძალაც მისგან ჰქონდა მინიჭებული, ამიტომ **“კაცნი ბილწნი ცხორებითა და ჭაბუკნი ჰასაკითა”** მოისყიდეს და გაგზავნეს წმიდანთან, რომ მასზე ძალა ეხმარათ. როცა **“ძაღლებრ მრავალი”** უსჯულოები უკვე ძალზე ახლოს იყვნენ, ნეტარმა შემწეობა ითხოვა ღვთისგან. პასუხად ზეგარდმო გაისმა: **“ნუ გეშინინ, თეკლა, რამეთუ მე შენ თანა ვარ!”** კლდე გაიპო, ქრისტეს მხევალი შეიფარა და კვლავ დაიხშო. ასე შეჰვედრა სული უფალს მისმა რჩეულმა.

მასალები მოგვაწოდა ბატონმა დავით სილაგაძემ

ᲛᲣᲠᲗᲐᲖ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ: ᲕᲘᲓᲠᲔ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲐᲡ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲓᲐᲑᲐᲓᲔ

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კვალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მარტვილის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ლეგენდარული ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა წარადგინა. მის საფეხბურთო მიღწევებზე დაუსრულებლად შეგვიძლია საუბარი, თუმცა ვთქვათ ის, რომ ბატონი მურთაზი 14 წლის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას, იყო საბჭოთა კავშირის კაპიტანიც. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ კი მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი და საკმაოდ წარმატებულადაც...

მიუხედავად არჩევნებში მარცხისა, ის კვლავაც სიყვარულითაა განწყობილი თანარაიონელების მიმართ და მიაჩნია, რომ მარტვილში არჩევნები გაყალბდა. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი მურთაზ ხურცილავას ვთხოვეთ.

– როგორ შეაფასებდით საქართველოში, კონკრეტულად კი მარტვილში ჩატარებულ არჩევნებს?

– საარჩევნო პერიოდში თითქმის მთელი საქართველო მოვიარე, შიშის ფაქტორი მეტნაკლებად ყველგან იყო. მაგრამ ის, რაც სამეგრელოში ხდებოდა, ძნელია ენით გადმოსცე. ალტერნატიული აზრი არ არსებობს: მარტვილში არჩევნები გაყალბდა, წაგებული მოგებულად გამოცხადდა. ყოველთვის ვერიდები ჩემს რაიონზე საუბარს, მიჭირს ხალხის დადანაშაულება, მათი რაღაც ეტაპზე მესმის კიდეც. რატომ? რთულია, იმ რეჟიმისათვის გაგეძლო, რომელიც 8 წლის განმავლობაში წურბელასავით გვწოვდა სისხლს. მარტვილში წინა ღამეს ჯერარნახული ფაქტები დაფიქსირდა, არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. მოვა დრო და ყველა ყველაფერს გაიგებს. ერთ თვეზე მეტ ხანს ვიმყოფებოდი მანდ და ამ ხნის მანძილზე, ვინც მე მომესალმებოდა, შემხვდებოდა, მას აშანტაჟებდნენ, შვილის დაჭერით, უკეთეს შემთხვევაში კი სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. მეგობრები, რომელთან ერთადაც ფეხბურთი მითამაშია, მიქეიფია და უამრავი სიხარული მიგვრძნია, თავიანთი მობილური ტელეფონებიდან დარეკვას ვერ ბედავდნენ. ვინც ამას აკეთებდა, შეუძლებელია ეპატიოს. თუ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი შეიქმნა, მაშინ სხვებიც მიჰბაძავენ და მომავალში იგივეს გაიმეორებენ. სოფელ ბანძაში, იცით რა მოხდა? პოლიციელები, ახალგაზრდებს ნარკოტიკს აძლევდნენ იმისათვის, რომ 1 ოქტომბერს არჩევნებზე 5-იანი შემოეხაზათ. მსგავსი შემთხვევები საარჩევნო უბნებზეც დაფიქსირდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უარი თქვეს ასეთ უმზგავსო საქციელზე, რის გამოც მათ პლანის ჩადებითა და შესაბამისად, დაჭერით დაემუქრდნენ. ჩემს მშობლიურ რაიონში იცით რას მივრცელებდნენ? თითქოს მითქვამს, მარტვილელი არ ვარო...

– თქვენთვის სწორედ ამ თემაზე მინდოდა მეკითხა...

– დიახ, ქალაქში აქტიურად მუშაობდა ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდა. სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრ ზაზა გოროზიას, თურმე ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე თავისი **„ორატორული ნიჭი“** გამოუვლენია და ჩემთვის ზუგდიდელობა დაუწამებია. თითქოს მოქმედი ფეხბურთელობისას ჟურნალისტებისთვის მითქვამს. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ გოროზიას: მომიტანოს ვიდეოფირი, საგაზეთო ინტერვიუ თუ სხვა სახის მასალა, სადაც აღნიშნული ფაქტი დასტურდება. დასამალი გიორგი ჭყონდიდელისა და ამბროსი ხელაიას კუთხეს, არაფერი არასოდეს სჭირდა. გოროზია თუ ამას დამიმტკიცებს, მე მას და მთელ საქართველოს ბოდიშს მოვუხდი, ხოლო მას იმდენი დანაშაულებები აქვს ჩადენილი ერის წინაშე (შემიძლია დავუმტკიცო), რომ სამეგრელოში და საერთოდ ქვეყანაში ვერ დაედგომება. ზაზა გოროზიას ვურჩევ მოიძიოს მსოფლიო ენციკლოპედია, წაიკითხოს ჩემს შესახებ დაწერილი წიგნები, საგაზეთო სტატიები და გაეცნოს ჩემს ბიოგრაფიას, ნახავს სადაური ვარ!

– ხალხმა არჩევნების შედეგები აქციებით გააპროტესტა, რატომ ვერ მოხერხდა მათი ხმების დაცვა?

– მარტვილში არჩევნების გამყალბებლებს ჩემს წინაშე კი არ აქვთ ცოდვა ჩადენილი, არამედ სამშობლოსი. როგორ შეიძლება საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს (სხვათა შორის ჩემი მეგობრის შვილია) და ზოგიერთ კომისიის წევრს, ეპატიოს ჩადენილი დანაშაული?! კომისიის თავჯდომარემ ნაკვეთურის არმქონე და უბეჭდო ბიულეტენები ვარგისად მიიჩნია და მთელ რიგ უბნებზე მომხდარ სერიოზულ დარღვევებზე თვალი დახუჭა, რითაც დანაშაულის თანამონაწილე გახდა.

არჩევნები გაყალბდა იმ დღესაც და წინაა დღეებშიც. ფულის დარიგება, სხვადასხვა მატერიალური სახის მხარდამჭერა, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. გარდა ამისა ოჯახებს, ხმის სანაცვლოდ პატიმრის გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ. ერთიც: ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩს ვესწრებოდი მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე, როდესაც დიქტორმა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა, სამთავრობო ლოჟა ლამის დაშოკდა, თურმე ისე დრტვინავდნენ, ვის მივარდდნენ ვერ გადაეწყვიტაც: აქაოდა და ეს როგორ გამოცხადდაო. **„წითელფორმიან მთავრობას“** ფეხბურთის თამაშის ყურების ინტერესი დაჰკარგვია.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დახმარებით რაიონში გახსნიდით ისეთ საფეხბურთო სკოლას, რომელსაც ანალოგი რესპუბლიკაში არ მოეძებნებოდა. მიუხედავად არჩევნების შედეგებისა, თუ გახდება აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელი?

– ქართველი ხალხის განსაკუთრებულმა სიყვარულმა მოიყვანა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში. ის არის ადამიანი, რომელმაც იცის ხელოვნების, ნიჭისა და შრომის ფასი, ერის ტკივილი გულთან მიაქვს. მჯერა, ღირსეულად ემსახურება თავის ხალხს, როგორც ამას წლების განმავლობაში უანგაროდ აკეთებდა. საქართველოში უპრეცედენტო პრეცედენტი მოხდა, მთავრობა არჩევნების გზით შეიცვალა, ეს ივანიშვილის დამსახურებაა. რაც შეეხება სკოლას, გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად ავაშენებდი, მაგრამ ახლა რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! სანამ პირში სული მიდგას, რითაც შემეძლება ყოველთვის მემახსოვრება ჩემი ოდაბადე და ჩემი ხალხი.

– მას შემდეგ თუ შეხვდით ივანიშვილს და მარტვილში რა სიახლეებია მოსალოდნელი?

– უახლოეს მომავალში შეიქმნება კომისია, რომელიც დაადგენს რეალურად რა მოხდა სამეგრელოს რეგიონში და რამ გამოიწვია მარცხი? მერწმუნეთ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივა. ბრძოლა გრძელდება და ადვილი შესაძლებელია, რომ სამართლიანობამ იზეიმოს. უახლოეს მომავალში, ისევე როგორც სრულიად საქართველოში, მარტვილშიც შეიცვლება მაღალი თანამდებობის პირები. ჩვენ ყველა ერთად შევძლებთ იმას, რომ ავაშენოთ სამართლიანობაზე, თანასწორობასა და ნიჭიერებაზე დაფუძნებული, ახალი საქართველო.

აქვე მინდა ვთქვა: როდესაც სამეგრელო ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა, მისასალმებელია გაზეთ **„თავისუფალი პრესის“** რედაქტორის ფაუსტ ნადარაიას გადაწყვეტილება: მან სწორი პოზიცია დაიკავა და სიმართლის სამსახურში დადგა. აღსანიშნავია, რომ დღესაც იბრძვის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, არამარტო მარტვილის, არამედ სამეგრელოს მასშტაბით. რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ

“ᲞᲐᲓᲝᲨᲐᲡ” ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲭᲐᲛᲘ...

თბილისში მეშახტეთა სახლის კოშკის შპილიდან მისი მშვენება – ვარსკვლავი მოხსნეს... ისიც ფაქტია, რომ ნებისმიერი შენობის სამშვენისად წამომართული ვარსკვლავი გახლდათ არა პოლიტიკური, არამედ წმინდა წყლის არქიტექტურული სიმბოლო, მაგრამ, სააკაშვილსა და ნაციონალებს ხომ საკუთარი არქიტექტურა გააჩნიათ, რომლის აშკარა დასტური გახლავთ დავით აღმაშენებლის ნაძეგლარზე წამომართული ველოსიპედად წოდებული უაზრო ჯართი, კვერცხებზე შემდგარი **“შლოპანცები”,** თბილისში რიყეზე მშენებარე ზარბაზნის ლულის მსგავსი საკონცერტო დარბაზი, **“ოლვეის ულტრად”** წოდებული ხიდი მტკვარზე, **“ბენდუქიძის ოყნად”** წოდებული შადრევანი თუ სხვა უამრავი სიმახინჯე...

მახინჯი აზროვნებისა და სულისკვეთების მქონე ანომალიური ტიპები ხომ კატეგორიულად არიან მოკლებული სილამაზის აღქმის უნარს!

სწორედ ამგვარ ტვინგაბრეცილ მახინჯთა განსჯის შედეგი გახლავთ ის, რომ ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც დღეს, როგორც კინოს სახლი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაა ცნობილი, უთავოდ დარჩა – ისევე, როგორც ქართული კინო და ქართული მეცნიერება...

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აგებული ეს შესანიშნავი შენობა ისევე წაბილწეს, როგორც იოსებ სტალინის თანხმობითა და მისივე ყურადღების ქვეშ და მოგვიანებით აშენებული სხვა არქიტექტურული შედევრები, რომლებიც რუსთაველის გამზირს ამშვენებს: პარლამენტის შენობა (ყოფილი მინისტრთა საბჭო), ქალაქის მერიის შენობა, **“ცეკავშირის”** სახლი და **ᲪᲔᲡᲙᲝ**-ს შენობა (ყოფილი **„იმელი“**). ჰოდა, დგანან ისინი დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე – სამშენებლო მესერით შემოღობილები, გაძარცვულები, გატყავებულები და ვიგინდარებისთვის მიყიდულები. სააკაშვილის ხელისუფლებამ სცადა, მათი მოგონებაც კი გაექრო, რადგან პირველი არჩევნების წინ **„ვარდების რევოლუციის“** სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მეორეში კი არჩევნები გაყალბდა, რის შედეგადაც **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** ხელისუფლებაში მოვიდა.

სააკაშვილს და ნაციონალებს არ გააჩნიათ როგორც მომავალი, ასევე წარსულიც. ისინი არსაიდან მოვიდნენ და არარაობაში მიდიან... სწორედ მომავლისადმი შიში და სიძულვილი აიძულებს მათ, რომ შიშითა და ზიზღით უცქერდნენ დღევანდელობას, რასაც მთელი ერი შეჰხარის.

ამიტომ, როდესაც აღება და აფეთქება, როგორც გორში სტალინის ძეგლის ან ქუთაისში დიდი სამამულო ომის გმირთა მემორიალის, ტექნიკური მიზეზებით არ ხერხდება, ხელისუფლება არქიტექტურულ ძეგლებს სასტუმროებად და კაზინოებად ყიდის...

მაშ ასე, ამას წინათ თბილისში მეშახტეთა სახლის კოშკის შპილიდან ვარსკვლავი მოხსნეს...

ვის შეიძლებოდა გაეკეთებინა ეს ვანდალიზმი? **„ნაცმოძრაობას“,** რომელიც პრეზიდენტის კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ხელისუფლების გამოყენებით ძეგლებთან ბრძოლას განაგრძობს? თუ ცნობილ ქართველ ალპინისტ თორთლაძეს, მეტსახელად პადოშას – წინა მოწვევის პარლამენტის წევრს, 2011 წლის 31 მაისს მიღებული **„თავისუფლების ქარტიის“** ავტორს?

ინფორმაცია განსჯისათვის: **„სახის მაგივრად „პადოშა“ აქვს!“** – ამბობენ საქართველოში თავხედ ადამიანებზე, რომლებსაც სირცხვილ-ნამუსი დაუკარგავთ. როგორც ცნობილია, ევერესტზე პირველ ასვლასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ პადოშამ პოლიტიკური ევერესტის დაპყრობა და პარლამენტარად კვალიფიკაციის შეცვლა გადაწყვიტა. ევერესტის მწვერვალზე – როგორც თვითონ ირწმუნებოდა – გადაღებული საეჭვო ფოტოების გამო სირცხვილნაჭამ პადოშას სწორედ რომ დროზე მოუსწრო აწ განსვენებულმა ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც მიშასთან გადაბარგებული ელექტორატის მიზეზით ძალიან სჭირდებოდა მეტ-ნაკლებად ცნობილი ხალხი. ევერესტის სკანდალი სწრაფად მიჩქმალეს, მეტიც, დააფინანსეს თორთლაძის წიგნი მისი დაპყრობების შესახებ, ხოლო თავად პადოშამ ხელისუფლებაში ასვლა დაიწყო, თუმცა, როგორც ხალხის რჩეულმა **„ევერესტი“** მან ვერ დაიპყრო და მხოლოდ მის ძირში დარჩა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თბილისელების მიერ მისთვის მოფიქრებული მეტსახელი.

დაბოლოს, პადოშას ვარსკვლავური ჟამიც დადგა – მან თბილისში მეშახტეთა სახლის კოშკი დაიპყრო და მისი შპილიდან ვარსკვლავი ჩამოხსნა!

საქინფორმისთვის უცნობია – რას ფიქრობენ ამის თაობაზე ქართველი მეშახტეები, რომლებიც უკვე მერამდენე დღეა, ჭიათურის ყველა მაღაროში გაფიცული არიან.

საქინფორმისთვის უცნობია – პადოშამ ვარსკვლავი საკუთარი ხელით ჩამოხსნა, მის მიერ ინიცირებული კანონის მეშვეობით, თუ თანამზრახველთა დახმარებით.

საქინფორმისთვის უცნობია, ექს-პარლამენტარი გია თორთლაძე, რომელიც მწვერვალებს იპყრობდა და მათზე **„ნაცმოძრაობის“** დროშებს ტოვებდა წარწერით **„სიკვდილი რუს ოკუპანტებს!“,** წიგნებს რატომ არ კითხულობს. სხვაგვარად ეცოდინებოდა, რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავი – პენტაგრამა – დაცვისა და უსაფრთხოების უძველესი სიმბოლოა, რომლის პირველი გამოსახულებები ჩვ. წ. აღ-მდე 3500 წლით თარიღდება. ხოლო პითაგორა ამტკიცებდა, რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავი თავის თავში ოქროს კვეთას შეიცავს და პენტაგრამას **„ჰიგიეიას“** უწოდებდა – ჯანმრთელობის ბერძენი ქალღმერთი ჰიგიას, ან ქართველი პარლამენტარი გია თორთლაძის პატივსაცემად. საქინფორმი ეჭვობს, რომ **„ვარსკვლავური“** ალპინისტი პადოშა მიღწეულით არ დაკმაყოფილდება და ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობას განაგრძობს, მაგალითად – ვარსკვლავიან დროშებს ჩამოხსნის აშშ-ის და ევროკავშირის საელჩოების შენობებიდან თბილისში; ვარსკვლავებს მოხსნის კაპიტოლიუმის გუმბათიდან ოსტინში, ტეხასის შტატში; დოგალის ბრძოლის ობელისკიდან რომში; კალიფორნიის უნივერსიტეტის შენობიდან ბერკლიში, ანდა ქრისტეშობის ბაზილიკის გუმბათიდან ბეთლემში.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-196

1987 წელს მოსკოვში გამოვიდა საინტერესო ნარკვევი ძველი საბერძნეთისა და რომის ლეგენდები და მითები, რომელშიც ღრმა მეცნიერულად განხილულია აღნიშნული ლეგენდებისა და მითების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა **(Легенды и Сказания Древней Греции и Древнего Рима, составитель Алла Александрова Неихардт, М.: 1987.).** ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი: ძველი საბერძნეთის ღმერთები და გმირები – ღმერთები, გმირები; მეორე ნაწილი: ძველბერძნული ეპოსი – არგონავტები, რომელიც შედგება ცხრამეტი ქვეთემისაგან – იწყება **„ფრიქსე ჰელეთი"** და მთავრდება მეცხრამეტე ქვეთემით **„იასონი და მედეა – კორინთოში. იასონის სიკვდილი";** ტროას ციკლი; ოდისეია, აგამემნონი და მისი შვილი და ფივის ციკლი. მესამე ნაწილი: ძველი რომის ღმერთები და გმირები – ძველი იტალიური ღმერთები, გმირები და ლეგენდები.

1990 წელს გამოვიდა ვ. უსპენსკის და ლ. უსპენსკის აღიარებული ნაშრომი **„ოქროს საწმისი" (ვ. უსპენსკი, ლ. უსპენსკი.** ოქროს საწმისი, თბ., 1990, წიგნი თარგმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულმა, დიდი პერსპექტივების მქონე ლიტერატორმა **მედე ალექსანდრეს ასულმა კვარაცხელიამ.** ის სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, რუსი და ევროპელი მწერლების რამოდენიმე ნაშრომი თარგმნა, მაგიდაზე დარჩა დიდი რომანი, რომლის სიუჟეტი, გეგმა, შედგენილი და ერთი თავი დაწერილი ჰქონდა.), რომელიც 35 ქვეთავისაგან შედგება, ბოლო თავში **„იაზონის სიკვდილი"** ნათქვამია: **„ნელ-ნელა ჩაეძინა გმირს. მაგრამ როგორც კი თვალი მილულა, ზღვიდან ქარიშხალი ამოვარდა, ხომალდს ეძგერა, ქვიშის ბუღი დაატრიალა, აჭრიალდა ძველთაძველი ხომალდი და ერთიანად დაიშალა. ხომალდის კიჩოდან გადმოვარდა მძიმე ბოძი, რომელზედაც ათენას თავი იყო ამოჭრილი, იაზონს დაეცა და მოკლა.**

გვიან საღამოს მეომრებითა და იოლკოსელებით გარშემოხვეული მეფე ადანასტე ოქროს ეტლით მიბრძანდა „არგოსთან". გრიგალს ზღვის ნაპირზე მიმოეფანტა ფიჭვის ფიცრები და მუხის ბოძები, ქვიშაზე კი, ათენას ხის თავის ქვეშ, უძრავად იწვა იაზონი. აქამდე ვერავინ გაიგო, სად დამალა მან არგონავტების ოქროს საწმისი" (ვ. უსპენსკი, ლ. უსპენსკი, ოქროს საწმისი, გვ. 122.).

აი რას წერენ უსპენსკები (ამონარიდი დიდია მაგრამ საინტერესო).

მსოფლიოს ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში იშვიათად მოიძებნება მოვლენა, რომელიც ტოლფასოვანი იყოს ლეგენდისა ოქროს საწმისის შესახებ. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი საფუძველი უძველეს ანტიკურ ხანაშია.

მითი ოქროს საწმისის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველბერძნული და ძველქართული მითების დიდ ოჯახთან. მათ შორის აღსანიშნავია მითები იაზონის და მედეას შესახებ, ჰერაკლესა და პრომეთეზე, იაზონისა და მედეას უსაზღვრო სიყვარულისა და მისი ტრაგიკული დასასრულის შესახებ.

ლეგენდაში არგონავტების მოგზაურობაზე გვხვდებიან ბერძნული სამყაროს სახელგანთქმული გმირები: პელევსი, ტელამონი, ზევსის შვილები პოლიდევკე და კასტორი, მჭევრმეტყველი ნესტორის მამა ნელევსი, მეფე ადმეტე, პოსეიდონის შვილი ევფემე, თეზევსი, ჰერაკლე და მისი უახლოესი მეგობარი ჰილისი, სხვა წარჩინებული გმირები, რომელთა უმრავლესობა შემდეგში გახდნენ მეფე, ნახევარღმერთი და ღმერთი და საუკუნო სავანე მიპოვეს ღმერთთა მთა – ოლიმპოზე.

მედეას სახე არის ქართველი ქალის პირველი ტრაგიკული სახე მსოფლიოს ლიტერატურაში. მედეა არის განსახიერებული ძველი საბერძნეთის და რომის მწერალთა შრომებში. მათ შორის გვხვდება ისეთი სახელოვანი სახელები, როგორიცაა ევრიპიდე, სოფოკლე, ესქილე, ჰეკატე მილეტელი, აპოლონიოს როდოსელი, დიდომოსი, პინდარე, ვერგილიუსი, ოვიდიუსი. ძველი დროის თითქმის ყველა ისტორიკოსმა იცოდა და წერდა მედეას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მათ შორის არიან ჰეროდოტე, ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე, ვალერიუს ფლაკუსი, ციცერონი...

უძველესი დროიდან დაწყებული მედეას განასახიერებდენ უდიდესი მხატვრები და მოქანდაკეები. დიდი გავლენა მოახდინა მედეას სახემ რენესანსის მხატვრობაში და მომდევნო პერიოდში დღემდე. მედეამ და მისმა ტრაგიკულმა ცხოვრებამ შთააგონა ისეთი შემოქმედები, როგორიც არიან ვერონეზე, პუსენი, დელაკრუა, ანზელმ ფოირბახი, დე ტრუა, დანტე, ლესინგი, ქერუბინი, მ. ბერძენიშვილი, ლ. გუდიაშვილი.

ძველი და ახალი საბერძნეთი, ძველი და ახალი რომი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა – ყველა ქვეყანამ უკლებლივ შეიტანა თავისი წვლილი ქართველი ქალის, კოლხთა მეფის ქალიშვილის, ღმერთთა თანასწორის მედეას პიროვნების შესწავლაში, მის პერსონიფიკაციაში, მისი ღვთაებრივი კულტის შექმნაში.

ქართული მეცნიერება და ლიტერატურა უძველესი დროიდან დღემდის იცნობს მედეას. აქ არ შეიძლება არ დავასახელოთ ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ვახუშტი ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, აკაკი წერეთელი, ა. გელოვანი, აკ. ურუშაძე, ლ. სანიკიძე, ა. გაწერელია, ი. ნონეშვილი რ. გორდეზიანი...

მადლიერი ქართველი ხალხის უმდიდრეს ფოლკლორში ლეგენდას ოქროს საწმისისა და მედეას შესახებ ძალზე დიდი ადგილი უკავია. უძველესი დროიდან დღემდე სვანები მთის მდინარეებში ოქროს ქვიშის მოსაპოვებლად აგებენ ცხვრის ტყავს, რომელშიც ილექება თვითნაბადი ოქრო. ბოლო ხანებში ოქროს მოპოვებას მისდევენ ზემო იმერეთშიც მდინარე ყვირილას ზემო ნაწილში.

ცნობილია, რომ მედეა კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი გრძნეული იყო. სწორედ თავისი გრძნეულობის მეშვეობით მოაპოვებინა მან ოქროს საწმისი იაზონს, და შემდეგშიც არაერთხელ დაეხმარა მას. მითების ზედაპირული ანალიზიც კი გვარწმუნებს, რომ მედეა კარგად იყო გათვითცნობიერებული სააქიმო საქმეში, იცოდა წამლებისა და მალამოების გაკეთება, იცნობდა სამკურნალო ბალახებსა და მცენარეებს, კურნავდა თითქმის ყველა დაავადებას. როგორც ითქვა არსებობს მტკიცებულება, რომ ქართველი ქალის მედეას სახელი დაედო საფუძვლად მკურნალობისა და ფარმაციის საერთო სახელს – მედიცინას.

და კიდევ ერთი, პოლიტიკური ასპექტი მედეას შესახებ.

შუა საუკუნეებში ფლორენციის დიდი ჰერცოგები იყო მედიჩის საგვარეულო. ამ გვარის დამაარსებელი პროფესიით ექიმი, მედიცინის დოქტორი, რომელსაც პროფესია გვარად გადაეცა. მედიჩებმა დააარსეს ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო-საბანკო კომპანია. ეს საგვარეულო მართავდა ფლორენციას დაწყებული 1434 წლიდან 1737 წლამდე, 30 წლის გამოკლებით (მედიკო, მედიცინა, მედიჩი).

1429 წელს ფილიპე III ბურგუნდიელმა დააარსა ერთ-ერთი უმაღლესი რაინდული ორდენი – ოქროს საწმისის ორდენი. თავდაპირველად ამ ორდენით ჯილდოვდებოდა მხოლოდ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები და ორდენის კავალერთა რიცხვი არ აღემატებოდა 30 პიროვნებას. 1477 წლიდან ორდენის კაპიტული ავსტრიელ ჰაბსბურგებთან გადავიდა, 1700 წლიდან კი ავსტრიაში და ესპანეთში. ორდენის დევიზი დღიდან დაარსებისა იყო – **„რისი ფასიც ურყევია".** ორდენი მზადდებოდა ბაჯაღლო ოქროსაგან, იგი გამოსახავდა ოქროს საწმისს, რომლის თავზე ცეცხლისფერი ქვა ციმციმებდა (იხ. ვ. უსპენსკი, ლ. უსპენსკი. ოქროს საწმისი, გვ. 125.).

* * *

ნათელა ფოფხაძე წერს: ის რაც, ლათინურ, ელინურ და სხვა უცხოურ ენებზე იწოდება ევროპად, მეორენაირად წარმოითქმის **„ოროფა"**-დ და სწორედ ეს მეორე არის მისი საწყისი ფორმა. ევროფა – ოროფა იმ მეფის ასულის სახელია, რომელიც კოლხების ერთი ნაწილის – პელაზგების ღმერთმა, სახელად **„ძე"**-მ გაიტაცა და ჩაასახლა კუნძულ კურატორზე (ამჟამინდელი კრეტა) იმ მიდამოებში, რომელსაც კოლხური სახელი **„გორდი"** ერქვა (ამჟამადაც **„გორდი"** ჰქვია). კრეტა ძირძველი კოლხური მხარეა. კურატო – კრეტის კუთვნილ ერთ პატარა კუნძულს ამჟამადაც ჰქვია მისი ათასწლეულების წინანდელი სახელი **„კოლხითი" – „კოლხეთი;** – ამაზე მიუთითებენ იქაური სამგზავრო (ტურისტული) ბიუროს მასალები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ათასწლეულების განმავლობაში ერთგულად და სიყვარულით შეინარჩუნა სახელწოდებები **„გორდი"** და **„კოლხეთი".** გარდა ამისა, აღნიშნული კუნძულიდან დიდი მანძილით დაშორებულ სხვა კოლხურ მხარეში, კოლხეთის სამთავროს მეთაურის – დავით დადიანის დაქვრივებული მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი ცხოვრობდა სამეგრელოს სამთავროს სასახლეში ქალაქ გორდში და იქვეა დაკრძალული ტაძრის ეზოში.

კიდევ მეტი, კუნძულ კურატო-კრეტაზე მდებარე ქალქ ფათის-ფაისთის მიდამოში, 1908 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა უძველესი, თიხისაგან გამოძერწილი მრგვალი ფირფიტა,– ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია **„ფათი",** იგივე **„ფოთი".** შემდგომ პერიოდში უცხოელები ქალაქს მოიხსენიებდნენ **„ფაისტო"** სახელით, სადაც იმავე, 1908 წელს, ლუიჯი პერნიემ კვლავ აღმოაჩინა თიხის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა, რომელიც საუკუნის შემდეგ გაშიფრა – წაიკითხა ქართველმა მკვლევარმა გია კვაშილავამ, ოქროს ტვიფრით (ყალიბით) შესრულებული მსოფლიოში პირველი ბეჭდური დამწერლობა კოლხეთის დედაღვთაების ნანაისადმი (ნინეასადმი) მიძღვნილი ნახატ-ნიშნებით შესრულებული საგალობელი (ამის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი).

„ოროფა" ქართების-ქართველების მიერ შექმნილი ქართული სიტყვაა (კერძოდ კოლხურია) და ნიშნავს **„სიყვარულს"**, – ადამიანის ყველაზე სათუთ, კეთილშობილურ გრძნობას. კოლხური სიტყვა **„თქუა"** (თქმა, ლაპარაკი) ანუ თქმულება ზევსის მიერ გატაცებულ **„ოროფაზე"**, კოლხურ კუნძულზე, მის (ოროფას) ჩასახლებაზე, სადაც მას სამი ვაჟი შეეძინა: უფროსი მინო, მინოსი, რომელიც იქვე გამეფდა და ცოლად ჰყავდა აიეტის ასული – მედეას და – სახელად **„ფასიფა"** (თქმულებას ისტორიული საფუძველი აქვს, ნამდვილად მომხდარ მოვლენას ასახავს) – ამ საკითხებზეა საუბარი. თქმულებით ცნობილი ლიტერატურული გმირის – **„ოროფე"**-ს (ელინურში ემატება ბოლოსართი **„ოს"** და ხდება **"ორფეოსი"**), რა თქმა უნდა კოლხური სიტყვაა – **„ოროფა"** – სიყვარული.

შვილის, ასულის დაკარგვის გამო უსაზღვროდ დანაღვლიანებულმა ოროფას მამამ ვაჟიშვილი, სახელად **„კოლხი"** გააგზავნა ასულის საძებრად და შვილს აუკრძალა ოროფას გარეშე დაბრუნება. კილხიმ მამის დავალება ვერ შეასრულა და შინ ვერ დაბრუნდა, მაგრამ მისი სახელი – **„კოლხი"** ათასწლეულების მანძილზე ეწოდებოდა **„დიდი ზღვის"** (ამჟამად ხმელთაშუა ზღვის) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე მხარეს – კოლხი – კილიხია – კილიკია – კოლიხეთი – კილხეთი (კილიხეთი ანუ **„ქი ართი"**) – არის გეოგრაფიული მხარე – გორდიაში (გორფი) სადაც, როგორც ითქვა, ოროფას ისტორიისათვის კარგად ცნობილი დევკალიონი, რომლის შვილია პრომეთე, რომელსაც ჩვენებურად ამირანი ქვია. თქმულებით ცნობილია, რომ დევკალიონის მამა (ღმერთი) ამცნობს მას მოსალოდნელი დიდი წყალდიდობის შესახებ და ასწავლის თავის გადარჩენის საშუალებას. დევკალიონი მოსახლეობის ღვთაება **„ეა"**-ს მიერ თავისი ვაჟიშვილის – ქალაქად ურუქში – ერეხში მცხოვრები მეფისა – მოსალოდნელი წარღვნის შესახებ – გაფრთხილება, მისი და იქაური მოსახლეობის გადარჩენისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ნათელა ფოფხაძე წერს: **„დიდი ხნის შემდეგ, უცხოელმა მტრებმა გამიზნულად გააგრცელეს სხვა მოსაზრება, შექმნეს თქმულება, რომელშიც კოლხების – პელაზგების ეროვნული გმირი – ზევსი სხვა ეროვნებას მიაკუთვნეს, ამით მოსწყვიტეს მის ეროვნულ ფესვებს და ვითარება გააყალბეს",** (ნათელა ფოფხაძე, რას ნიშნავს სიტყვა **„ევროპა"**, გაზ. **„დიოსკურია",** 2007, აგვისტო, №44, გვ. 7). მაგრამ ეს ყველაფერი ისტორიისთვის კარგადაა ცნობილი და გაყალბება უშედეგოა.

მეფის ასულმა ოროფამ, რომელმაც მეგობარ გოგოებთან ერთად გაისეირნა სასახლის მახლობლად ზღვის ნაპირზე, ყვავილები დაკრიფეს, გვირგვინები დაწნეს, სწორედ იმ ჟამსვე, საიდანაც გამოჩნდა თეთრი კურო (ხარი), რომელმაც ასეთი სახე (კუროს) მიიღო – ღმერთმა ძეუსმა (ზევსმა) და ამ სახით მოატყუა და გაიტაცა ოროფა.

ოროფა-ევროფას სახელი მიიღო მოგვიანებით კონტინენტმა, რომლის საზღვარი სხვა, მიმდებარე კონტინენტებთან შედარებით მუდამ დავას იწვევდა და იწვევს, ახლაც ცდილობენ სახელის შეცვლას.

ქალი **„აზია"** დაობდა იმას, რომ მეფის ასული ევროფა აზიის კონტინენტზე დაიბადა, და მისი სახელის მინიჭებას მეორე კონტინენტს უპირებდნენ, სადაც მას ფეხი არასოდეს დაუდგამს. ჩანს, თქმულების შექმნისას კუნძულები, მათ შორის კოლხთა კუნძული კრეტაც, ევროპის კონტინენტის შემადგენელ მხარედ არ მიიჩნეოდა.

უკმაყოფილებას კონტინენტისათვის ოროფას შერქმევის გამო, გამოთქვამდნენ არა მარტო მოკამათე ქალები, არამედ სხვებიც, მათ შორის ჰეროდოტეც. ის თვლიდა, რომ მისი მშობლიური ქალაქი ჰელიკარნასი (ჰელიკარნაზი) სწორედ ევროფასეროფას მხარეში მდებარეობდა, ამიტომ ჰეროდოტეს კონტინენტისათვის ევროფის სახელის მიკუთვნება უსწოროდ მიაჩნდა: მსოფლიოში სულ სამი კონტინენტია (მაშინ ასე იყო) – ევროფა, აზია, ლიბია (კონტინენტ ლიბიას დიდი ხნის შემდეგ ეწოდა **„აფრიკა"**) და სამივე ქალის სახელი ეწოდება, რაც სავსებით უთავბოლობაა.

ნ. ფოფხაძე აყენებს საკითხს: **„რაკი დადგენილია, რომ ძველი ქართული მეტყველებიდან „ოროფა"-დან მომდინარეობს კონტინენტის დამახინჯებული სახელი („ევროპა"), უნდა მივაღწიოთ მისი ძველი ქართველური სახელის „ოროფა"-ს აღდგენას, რაც დღემდე შენარჩუნებული აქვს ლაზებს. უნდა დავსძინოთ, რომ აღნიშნული კონტინენტის სახელის ასეთ ფერიცვალებას არა მარტო საენათმეცნიერო მნიშვნელობა აქვს, არამედ ის ნათლად ასახავს და წარმოაჩენს ქართველური მოდგმის მოსახლეობის უდიდეს კულტურულ წვლილს".**

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲥᲕᲔᲨ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ“

მოვლენები, რომლებიც შესაძლოა, უახლოეს ხანებში განვითარდეს. სიმართლე, რომელიც საქართველოში იცის ბევრმა, მაგრამ ყველა დუმს! ვინ განსაზღვრავს სასჯელის გარდაუვალობას და დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის სისრულეს? რისკი მათთვის, ვინც ჩაერთო სასიკვდილოდ სახიფათო თამაშში სახელწოდებით **„პოლიტიკა“,** და ინტერესები, რომლებიც ფასეულობებზე მაღლაა: საქინფორმი წარმოგიდგენთ...

„ᲘᲫᲘ ᲠᲝ ᲑᲘᲭᲝ?“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი – ბოლო წლების საქართველოს კრიმინალური ხელისუფლების პირამიდის მწვერვალი, ნაცმოძრაობის მაფიოზური კლანის ნათლიმამა – დიდი ალბათობით ლიკვიდირებული იქნება აშშ-ის სანქციით ამერიკული სპეცსამსახურების ხელშეწყობით.

სააკაშვილის ლიკვიდაცია განხორციელდება:

– ან ჩეჩენი ბოევიკების ხელით, რომლებიც შურს იძიებენ ღალატისთვის – ლაფანყურის ხეობაში შეტყუებული ჩეჩნური დაჯგუფების ლიკვიდაციისთვის; ტყვედ აყვანილი დაჭრილი შუამავლის, ცალხელა ახმედისთვის (ჩატაევი), რომელიც ციხის საავადმყოფოში ცალფეხადაც აქციეს (როგორც ამბობენ, საგანგებოდ ჩაუტარეს ფეხის ამპუტაცია, **„რომ არ გაქცეულიყო“**); დახოცილი ქისტებისთვის, რომლებიც ოჯახებს ისლამური წესით არ დაამარხვინეს;

– ან პლიევების გვარის ოსების ხელით – 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში დაჭრილი და შემდეგ მიბრჯნით დახვრეტილი OMOH-ის კაპიტნის თეიმურაზ პლიევის (ოსების სიამაყის – საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, არმიის გენერალ პლიევის ვაჟის) ნათესავების, რომლებმაც მის საფლავზე სისხლის აღების ფიცი დადეს; (შენიშვნა №1. განვლილი დრო სისხლის აღების აღთქმაზე გავლენას არ ახდენს – მაგალითად, ოსმა ვიტალი კალოევმა, ამჟამად – ჩრდილოეთ ოსეთის მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილემ, წელიწად-ნახევრის შემდეგ მიაკვლია და მოკლა შვეიცარიული კომპანია **„სკაიჰაიდის“** დისპეტჩერი პეტერ ნილსენი, დამნაშავე 2002 წელს ბოდენის ტბის თავზე მომხდარ ავიაკატასტროფაში, რომელშიც მისი ოჯახი დაიღუპა)

– ან მართვადი ავიარაკეტის წერტილოვანი დარტყმით, რომელიც ამერიკული კოსმოსური თანამგზავრიდან იქნება დამიზნებული;

– ან კრიმინალების მიერ, **„კანონიერი ქურდების“** დევნისათვის შურისძიების ნიშნად;

– ან ათასობით უკანონოდ მსჯავრდებული, მოკლული ან ქართულ ციხეებში საშინელი წამებაგადატანილი ადამიანის ოჯახის წევრთა მიერ;

– ან პირადი დაცვის წევრთა ხელით (შენიშვნა №2. ე.წ. ლიჩნიკების როლი პრეზიდენტ გამსახურდიას, პრემიერ ჟვანიას და ოლიგარქ პატარკაციშვილის სიკვდილში უზარმაზარ ეჭვს იწვევს).

„ᲛᲐᲜ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲪᲝᲓᲐ...“

სააკაშვილმა დღეს არა მარტო ფასი დაკარგა, არამედ ვაშინგტონში თავისი პატრონებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს – იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრი იცის:

– სააკაშვილმა იცის არა ყურმოკვრით, ვაშინგტონში მილიონობით დოლარის ე.წ. ატკატებზე – ნაღდი ფულით, ან თავდაცვის სამინისტროს, „ცე-რე-უ“-ს (CIA), ინსტიტუტების IRI-ს და NDI-ს საიდუმლო სპეცანგარიშებზე, ლობისტების – სენატორების, კონგრესმენების, სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა პირად ანგარიშებზე; (საინტერესოა, საიდუმლო დოკუმენტები თუ ასეთი **„ატკატი“** ნაღდი ფულით წაიღო ორი ჩემოდნით **„ცე-რე-უ“**-ს დირექტორმა დევიდ პეტრეუსმა (ამჟამად – ექს), რომელიც თბილისში ნახევარი საათით ჩამოფრინდა და აეროპორტში მხოლოდ მაშინდელ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს შეხვდა ამ უკანასკნელის პრემიერ-მინისტრად **„წასვლის“** წინ?)

– სააკაშვილმა იცის არა ყურმოკვრით, ბოლო წლების ყველა გახმაურებულ მკვლელობაზე – ჟვანიას, პატარკაციშვილის, აკადემიკოს შარაძის და სხვა;

– სააკაშვილმა იცის არა ყურმოკვრით, 08.08.08. ომზე, პანკისის ხეობის საიდუმლოებებზე, ლაფანყურის ოპერაციაზე და ყველა ამ საქმეში დასავლეთის სპეცსამსახურების როლზე.

ამიტომ აშშ, რომელიც საქართველოში საპარლამენტო არჩევნებით უფრო მეტად იყო დაკავებული, ვიდრე ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებით, რათა მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა: **„შეხედეთ! ჩვენ ხალხებისთვის დემოკრატია მოგვაქვს და არა ომები! ჩვენ საქართველოში დემოკრატია ავაშენეთ! იქ, ბოლო წლებში პირველად, ხელისუფლების გადაცემა არჩევნების დემოკრატიული გზით მოხდა!“;**

ამიტომ აშშ, რომელსაც ეშინია საქართველოს დაკარგვის, როგორც სამხედრო ბაზისთვის ერთადერთი ყველაზე მოსახერხებელი ტერიტორიისა, მათ მიერ უკვე მოწყობილი ინფრასტრუქტურითა და აეროდრომებით ირანთან მოსალოდნელი ომის წინ;

ამიტომ აშშ, რომელმაც მთელ მსოფლიოს უნდა აჩვენოს, რომ საქართველოში ამერიკული მაგალითით ორპარტიული საპარლამენტო სისტემა შექმნა;

ამიტომ აშშ, რომელმაც მთელ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს, რომ მთელი 9 წელი მხარს უჭერდა პრეზიდენტ-დემოკრატს და პარტია-რეფორმატორს, და არა დიქტატორ სააკაშვილს და ნაცმოძრაობის სისხლიან რეპრესიებს;

ამიტომ აშშ, რათა შექმნას ნაცმოძრაობის რებრედინგის ილუზია, რომელიც **„ღირსია, „ქართული ოცნების“ ჯანსაღი ოპოზიცია იყოს“,** აქედან გამომდინარე კი – სასწრაფოდ **„განაახლოს“** პარტიის სათავეები მის გენერალურ მდივნად ქვეყნის ყოფილი მთავარი პოლიციელის დანიშვნით,

სააკაშვილს პირადი უსაფრთხოების მყარ გარანტიებს არ მისცემენ, მეტიც – ხელს შეუწყობენ მის ლიკვიდაციას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო.

ამერიკელმა კურატორებმა კარგად შეისწავლეს თავიანთი აღზრდილი მიშას ბუნება და ამიტომ საფუძვლიანად შიშობენ, რომ ის პირველსავე მიწოლაზე „გატყდება“ და ყველაფერს მოუყვება გამომძიებელს, უკლებლივ ყველას **„ჩაუშვებს“**, რის შედეგადაც განსასჯელთა სკამზე უკვე ამერიკელი მაღალჩინოსნების დასმა მოუწევთ! ხოლო სააკაშვილის ლიკვიდაციის შედეგად აშშ არა მარტო ამ **„თავის ტკივილს“** მოიშორებს, არამედ პოლიტიკურ დივიდენდებსაც მოიპოვებს – სააკაშვილის ლიკვიდაციას რუსეთს დაბრალებს, რომელიც **„მაინც ვერ შეეგუა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პროდასავლურ, და არა პრორუსულ ლიდერს, ისევე, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას შემთხვევაში!“.**

(შენიშვნა №3. მოკლული პატარკაციშვილი და ჟვანია სიცოცხლეში პრორუსულ ორიენტაციაში იქნენ მხილებული (ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ორი თვის წინ YuoTube-ზე დადებული ფარული ვიდეოჩანაწერი – პატარკაციშვილის სახლში ბადრის საუბარი თბილისის მერ გიგი უგულავასთან და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან).

„პრორუსულობით“ სააკაშვილი გამუდმებით **„ამხელს“** ივანიშვილსაც, პოლიტიკაში მისი მოსვლის პირველივე დღიდან...).

„ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲡ...“

რატომ მონაწილეობს საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის პროცესში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის თანაბრად, რისთვისაც საელჩოდან, პრაქტიკულად, მის რეზიდენციაში, სახელმწიფო კანცელარიასა და **„ქართული ოცნების“** ოფისში გადაბარგდა?

ობიექტის დაცვის გარდა, რა დავალებას ასრულებენ ივანიშვილის პირადი მცველები აშშ-დან და ევროპიდან, რომლებიც უთუოდ დასავლეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან?

როგორც ჩანს, აშშ ბოლომდე არ ენდობა ბიძინა ივანიშვილს, მიუხედავად მისი მრავალგზისი რწმუნებისა მათდამი აბსოლუტური პატივისცემის, ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობისა და საქართველოს ნატოში შესვლის უალტერნატივობის თაობაზე:

– ივანიშვილის მუშურ-გლეხური წარმომავლობა, შრომაში გატარებული ბავშვობა და ყმაწვილკაცობა, განცხრომაში გაზრდილი დედას ბიჭი სააკაშვილისგან განსხვავებით;

– ივანიშვილის ფინანსური დამოუკიდებლობა და **„სელფ მეიდ მენისთვის“** (ინგლ. self made man – ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი თვითონ შექმნა) დამახასიათებელი მაგარი კაცობა, რომელიც დიდ ფულს ჯერ კიდევ სსრკ-ის დროს შოულობდა;

– ივანიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა რუსეთში – ბიზნესით დაწყებული, არჩევნებზე რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატის, გენერალ ლებედის მხარდაჭერით დამთავრებული;

– ივანიშვილის ჰობი – ფსიქოანალიზით გატაცება;

– და მთავარი – ივანიშვილის უზარმაზარი პოპულარობა ქართველ ხალხში ამერიკის სრულიად საფუძვლიან შიშს იწვევს, რომ სურვილის შემთხვევაში ივანიშვილი კონტროლიდან გამოსვლას შეძლებს, რაც, უკიდურეს შემთხვევაში, მისმა პირადმა დაცვამ უნდა აღკვეთოს, რომელზეც მისი სიცოცხლეა დამოკიდებული...

(შენიშვნა №4. უკიდურესად საეჭვოა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **„ლიჩნიკების“** (ვითომდა, სიკვდილამდე მისი ერთგული) როლი მისი იდუმალი **„თვითმკვლელობის“** გარემოებებში;

– უკიდურესად საეჭვოა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას **„ლიჩნიკების“** (რომლებიც ოჯახში წევრებივით ცხოვრობდნენ) როლი ნახშირბადის მონოოქსიდით მისი იდუმალი **„მოწამვლის“** გარემოებებში, რაც FBI-ის ექსპერტიზამ არ დაადასტურა;

– უკიდურესად საეჭვოა ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილის (რომელსაც მილიარდები ორჯერ მეტი ჰქონდა, ვიდრე ივანიშვილს) **„ლიჩნიკების“** როლი, რომლებმაც ლონდონში სათანადო შემოწმების გარეშე შეუშვეს მასთან საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ერეკლე კოდუა, რომელთანაც ჩაის დალევის შემდეგ **„ბადრიმ თავი შეუძლოდ იგრძნო, ვალერიანის წვეთები მიიღო და გულით გარდაიცვალა...“,** რაც სკოტლანდ-იარდმა უყოყმანოდ დაადასტურა. და ეს იმავე ლონდონში ხდება, სადაც, იმავე სკოტლანდ-იარდის უაპელაციო მტკიცებით, **„ლუგოვოიმ ФСБ-ს დავალებით მოწამლა ლიტვინენკო, რომელსაც ჩაიში რადიოაქტიური პოლონიუმ-210 გაურია“...**

ერთადერთი, ვისი ლიკვიდაციაც არ მოუხდენიათ (იმიტომ, რომ **„ვარდების რევოლუციის“** ამერიკულ პროექტს ხელი მოაწერა) – საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახლავთ, რომელიც, ხანდაზმულობის მიუხედავად, დღემდე შინაპატიმრობაში ჰყავთ).

„ᲗᲣ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐ – ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ!“

საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა შეუძლებელია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი არ იცოდეს.

საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი უსაფრთხოების მთავარი გარანტი არის არა დაცვა, არამედ ქართველი ხალხი, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, რათა განხორციელდეს არა ამერიკული ან ევროპული, არამედ ქართული ოცნება!

სწორედ თავისი საქმიანობის ეს **„მაინსტრიმი“** (ინგლ. mainstream – ძირითადი მიმდინარეობა) არ უნდა დაივიწყოს საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა, მას ხომ ესმის ის, რაც ამერიკელებმა მაინც ვერ გაიგეს – ქართველების მენტალობა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გაუგებარია არაქართული ეროვნებების ბევრი წარმომადგენლისთვისაც, რომლებიც დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობენ.

ამერიკული **„დახმარების“** მილიარდობით დოლარი, რომელთა დახმარებით ქართველ ახალგაზრდობას წამლავდნენ და ერაყსა და ავღანეთში სასიკვდილოდ აგზავნიდნენ, სულერთია, ჩამოსწერია – ექსპერიმენტი ჩავარდა, ომები წაგებულია, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და ქართულმა ენამ გაუძლეს, ხოლო ქართველებმა **„უკანაამძრავიანები“** ვერ შეიყვარეს!..

პრემიერ-მილიარდერს შემდგომში მაინც მოუწევს, გაერკვეს და პატიოსნად უპასუხოს ქართველ ხალხს კითხვაზე: ვინ არის სინამდვილეში ამერიკა საქართველოსთვის? ამერიკელები – უაღრესად ანგარიშიანი ხალხია და თვლა ივანიშვილზე უარესად როდი იციან: რისთვის აძლევს აშშ ამდენ ფულს საქართველოს?

ადრე თუ გვიან, მაგრამ გულახდილი პასუხი გარდაუვალია: საქართველო – გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად უნიკალური ტერიტორიაა, რომელზეც მაგისტრალური სატრანზიტო ნავთობ- და გაზსადენები გადის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ერზრუმი, ვირტუალური **„ნაბუკო“** და რეალური **„ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია“**, რომლითაც რუსეთი თავის სტრატეგიულ პატნიორს – სომხეთს გაზით ამარაგებს); საქართველო ყველაზე ახლოს მდებარეობს ამერიკისთვის პრობლემურ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ესაზღვრება აშშ-ის მუდმივ ოპონენტს – რუსეთს; საქართველო – კავკასიის გასაღებია, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ, კასპიის ნავთობ-გაზის საგანძურისკენ ხსნის გზას.

დასკვნა: საქართველო აშშ-ს თავისი სამხედრო ბაზისთვის სჭირდება.

ძალიან კარგი! არა, კარგი არაფერია, მაგრამ სამაგიეროდ – პატიოსნად ნათქვამია... მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ამგვარ **„საპატიო მისიაზე“** ევროპულმა პოლონეთმა და ჩეხეთმაც კი უარი თქვეს, როგორც მათი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოზე, მაგრამ რადგან საქართველომ უკვე გადაწყვიტა თავის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსება, იაფად მაინც ნუ გავიყიდებით! მაგალითისთვის, სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა **„რამშტაინისთვის“** უპრობლემო გერმანიაში აშშ წელიწადში 1,5 მილიარდ ევროს იხდის, ეს კი – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ნახევარია.

საქართველომ, აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ხელმოწერით, უკვე იკისრა ასეთი ვალდებულებები, ხოლო საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადება – იმის თაობაზე, რომ ოკუპაციის პირობებში მყოფი საქართველოს დაცვისთვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს – მოწმობს, რომ საქართველოში მალე გამოჩნდება MIM-104 „პეტრიოტი“ (Patriot) – ამერიკული საზენიტო სარაკეტო კომპლექსები, რომელთა მართვის პულტი, რა თქმა უნდა, ამერიკელების ხელში იქნება (შენიშვნა №5. როგორც „**Financial Times**“ გასულ ხუთშაბათს იუწყება, თურქეთმა ნატოს „პეტრიოტები“ სთხოვა სირიაში საომარი მოქმედებებისგან თავისი ტერიტორიის დასაცავად).

ესეც თქვენ, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტი საქართველოში, რომელსაც აშშ საქართველოს **„საბითუმო“** ფასად მიჰყიდის, ან სულაც ისე მისცემს (შენიშვნა №6: თუ, მაგალითად – ირანული რაკეტის ჩამოგდება საქართველოს საჰაერო სივრცეში მოხდება, ნამსხვრევები ჩვენ თავზე დაგვყრება, რამდენიმეგრამიანი ნამსხვრევი კი გამჭოლად ხვრეტს ხუთსართულიან შენობას.)

ასეთ შემთხვევაში რუსეთი, რომელიც, ცხადია, თავის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს არ მოგვაწოდებს, უბრალოდ, საქართველოს გადაუმიზნებს ოპერატიულ ტაქტიკურ კომპლექსებს **„ისკანდერს“, „ტოჩკა-უ“**-ს და სხვ.

P.S. ა.წ. 7 ნოემბერს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრ ბაჩანა ახალაიას, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძისა და მე-4 ბრიგადის მეთაურ ზურაბ შამათავას დაკავება ადასტურებს ზემოთ მოყვანილ ვერსიას: აშშ **„ბუმბულს უსუფთავებს“** ექსმართველ ნაცმოძრაობას, რათა ის მომავლისათვის **„ქართული ოცნების“** საპირწონედ შეინარჩუნოს (შენიშვნა №7. 2011 წელს ვებპორტალმა **Wikileaks**-მა გამოაქვეყნა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის – თინა ქეიდენაუს – მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც მოთხრობილია 2009 წლის 15 სექტემბერს პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრაზე, სადაც თინამსერიოზული აღშფოთება გამოთქვა თავდაცვის მინისტრად ბაჩოახალაიას დანიშვნის გამო და შეახსენა სააკაშვილს ახალაიას ცუდი წარსული ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით).

უახლოეს დღეებში ნათელი გახდება – გაფართოვდება თუ არა დაკავებულთა წრე და წაუყენებენ თუ არა მათ ბრალდებებს **„სრული პროგრამით“** (მაგალითად – შეიარაღების შესყიდვის და შემდგომ უცხოეთში გაყიდვის საიდუმლო ოპერაციებისათვის: მსხვილი ფინანსური მაქინაციებისათვის: 08.08.08. ომამდე და მის შემდეგ, და თავად ამ ომისთვისაც: მთელი საქართველოსთვის ელდის მომგვრელი სიკვდილის ბრიგადების (ე.წ. ზონდერბრიგადების) და რეზერვისტების საფარქვეშ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნისათვის: ჩრდილოკავკასიური დაჯგუფებების ბანაკების ორგანიზების, სწავლებისა და შეიარაღებისათვის: ჯერ კიდევ ნაციონალებით დაკომპლექტებული თბილისის მერიის და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ბოლო დღეების საბოტაჟისთვის: და სხვ.), თუ შემოიფარგლებიან მხოლოდ **„ყოფითი“** კრიმინალით და ბრალდებებით **„სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებასთან“** დაკავშირებულ დარღვევებზე. რომელთა კვალს ნამდვილად არ მივყავართ ვაშინგტონში, ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურ კორიდორებში.

ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძის გათავისუფლება 20 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ, მისი საპატიო შეხვედრა სააკაშვილთან, რომელმაც **„გმირს“** თანამდებობაზე დაბრუნება უბრძანა: გენერალური შტაბის უფროსი, დანიშნული უმაღლესი მთავარსარდლის – ქვეყნის პრეზიდენტის მიერ – იმ ქვეყნის, რომელიც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი და ნატოში შესვლის კანდიდატია – გმირი უნდა იყოს და ბოროტმოქმედი ვერ იქნება! ალბათ, სწორედ ამ დილემაზე იმსჯელებენ ზეგ, 14 ნოემბერს, გენმდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში. (შენიშვნა №8. 32 წლის ბრიგადის გენერალი გიორგი კალანდაძე, რომელიც სააკაშვილი&კომპანიამ სახალხოდ გამოაცხადეს გმირად, 08.08.08. ომის დროს მე-4 ბრიგადას მეთაურობდა, რომელმაც პირადი შემადგენლობის ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადა, აგრეთვე, დაკარგა 26 ტანკი, 9 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და მთელი არტილერია).

ნაცელიტისათვის შეღავათების გაწევა და მათი პასუხისგებაში არმიცემა კი, თავის რიგში, შეიძლება ნიშნავდეს, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ თეორი სახლის ახალი ადმინისტრაციისაგან უკვე მიიღო ხელშეუხებელი პირების და არგამოსაძიებელი დანაშაულებისსია და რომ ეს სია სიმპათიურმა ცაციამ – ამერიკის პრეზიდენტად კვლავ არჩეულმა ბარაკ ობამამ მოიწონა.

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

“მთავრობის უცნობი განკარგულებები” – რაში იხარჯებოდა ბიუჯეტის ფული

ჩვენს უკვე შემოგთავაზეთ **“ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის”** კვლევის პირველი ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ თუ არამიზნობრივ ხარჯებს ეხებოდა. კვლევაში ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება ტენდერების ჩატარებით თავსაც აღარ იწუხებდა და ფავორიტ კომპანიებს ან სახელმწიფო უწყებებს უშურველად აძლევდა კოლოსალურ თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. მთავრობის კანცელარიიდან გამოთხოვილი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რაში იხარჯებოდა მილიონები მაშინ, როცა ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში, მეტიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკმაოდ მოცულობითი წილი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში მიემართებოდა და სწორედ აქედან ნაწილდებოდა შემდეგ სხვადასხვა პროექტებზე, ამიტომ **IDFI**-ის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ინტერესის საგანი პირველ რიგში სწორედ ეს ფონდი იქცა.

გობა თუშურაშვილი, “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” მკვლევარი: “2012 წლის 4 იანვრის მთავრობის განკარგულებით, ყველაზე დიდი თანხა, 9 მლნ ლარი, ახალციხის მუნიციპალიტეტს, რაბათის უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოეყო. ახალციხის მუნიციპალიტეტს საშუალება მიეცა, სახელმწიფო შესყიდვები განეხორციელებინა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების გზით, ანუ ტენდერის გამოცხადების გარეშე.

მსგავს ფაქტებს ვხვდებით თითქმის ყველა განკარგულებაში, სადაც თანხის მიმღებ დაწესებულებას საშუალება ჰქონდა, სახელმწიფო შესყიდვები განეხორციელებინა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების გზით. მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 თებერვლის განკარგულებით, გორში წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების მიზნით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, გორის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 მლნ ლარი. ამასთან, გორის მუნიციპალიტეტს საშუალება მიეცა, სახელმწიფო შესყიდვები განეხორციელებინა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების გზით. ამავე ფონდიდან თანხა გამოიყო გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად, რაზეც ფინანსთა სამინისტრომ გამოყო 587 ათასი ლარი ჯერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შემდეგ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის გადასაცემად.

მთავრობის კანცელარიიდან მიღებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის განკარგულებით, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ გაღმა ხაიშთან დამაკავშირებელი ახალი ხიდის მოწყობისთვის, მესტიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 550 ათასი ლარი. როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, მესტიის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების გზით განახორციელა.

2012 წლის 24 იანვარს, გურიის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის ფარგლებში, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 200 ათასი ლარის გადარიცხვა მოხდა. ამ შემთხვევაშიც გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ოღონდ მიზეზად ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში განხორციელება დასახელდა.

იგივე მიზეზი დასახელდა მაშინაც, როცა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურების განბაჟების, სამონტაჟო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისთვის გურიის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას 27 ათასი ლარი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას – 16 500 ლარი და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას 11 500 ლარი გადაურიცხეს.

2012 წლის დასაწყისში კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოს გამოეყო 1 მლნ ლარი და კახეთის რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას დაევალა, ყოველ მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში ფინანსთა სამინისტროსთვის წარედგინა. ამასთან ერთად კი ეს თანხა, რომელიც კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდს გადაერიცხა, უნდა ასახულიყო, როგორც შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გადარიცხული ტრანსფერები.

საინტერესოა ასევე განკარგულება, სადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 380 000 ევროს ეკვივალენტი ლარში გამოეყო ბიუჯეტიდან. საქმე იმაში გახლდათ, რომ ეკონომიკის სამინისტრომ კომპანია POMAGALSKI-სთან გააფორმა ხელშეკრულება გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, საბაგირო გზისა და მასთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ეკონომიკის სამინისტროს უფლება მიეცა სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ასევე ხსენებულ მთავრობის განკარგულებაში ძალიან საინტერესოა ჩანაწერი, რომელიც კომპანია POMAGALSKI-ზე არ ავრცელებს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენის ვალდებულებას.

საქართველოს რეგიონების განვითარების ფონდიდან 2 300 000 ლარი გამოეყო ქუთაისის მერიას ქუთაისის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების რეაბილიტაციისთვის, ხოლო 337 000 ლარი გამოეყო სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოს პრომეთეს მღვიმის დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობის მიზნით.

აღარაფერს ვამბობთ ანაკლის ცნობილ, უფუნქციო, “წყალწაღებულ” ხიდზე, რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტს თითქმის 11 მილიონი ლარი დაუჯდა.

მთავრობის წარმოდგენილი განკარგულებები, რომლებიც რეგიონების განვითარების ფონდიდან თანხების გამოყოფას ეხება, საფუძვლიან ეჭვს ბადებს თუ რამდენად გამჭვირვალედ და მიზანმიმართულად მიმდინარეობდა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა. გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვების ჩატარება საზოგადოებაში აჩენს კითხვებს თუ რამდენად ეფექტურად და რეალური კონკურენციის პირობებში მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვები. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მეშვეობით ჩატარებული გაუმჭვირვალე შესყიდვები, ზრდის კორუფციული გარიგებების ალბათობას, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან კონკრეტულ დაწესებულებაში განხორციელებული ტრანსფერის ფინანსთა სამინისტროს მიერ ასახვა, როგორც მუნიციპალიტეტის ბიუეჯეტებში გადარიცხული ტრანსფერები, მოსახლეობას არ აძლევს რეალური სურათის დანახვის საშუალებას თუ როგორ ხდება საქართველოს რეგიონების განვითარების ფონდიდან თანხების ათვისება”.

ამჟამად მიმდინარეობს სხვა საბიუჯეტო ხარჯების შესწავლა, რომლებსაც აშკარად უდის დანაშაულის სუნი და რისთვისაც, ალბათ, პროკურატურაში დაკითხვაზე გამოუძახებენ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრს, ამჟამად პარლამენტარ რამაზ ნიკოლაიშვილს.

აქედანაც ირკვევა, რომ არ ელოდნენ მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალები არჩევნების წაგებას და არც იმას ცდილობდნენ, რომ წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის კვალი დაეფარათ. ამიტომაც უწევთ ახლა წუწუნი ევროპელ ჩინოვნიკებთან – ახალი ხელისუფლება გვავიწროვებსო.

რ. შალამბერიძე

ახლა სწორედ ის მომენტია, როდესაც პრეზიდენტი უნდა გადადგეს

რომის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი კატონი (უფროსი) სენატში ყოველ გამოსვლას ამთავრებდა ფრაზით: **„კართაგენი უნდა დაინგრეს“**. ახლა ეს ფრთიანი ლათინური გამოთქმა რაიმე დაბრკოლებასთან ბრძოლის დაჟინებულ მოწოდებას აღნიშნავს, ხოლო უფრო ფართო მნიშვნელობით – ერთსა და იმავე საკითხთან მუდმივად დაბრუნებას საერთო თემატიკის მიუხედავად.

დღეს საქართველოში დღის წესრიგში ბევრი თემაა: რატომ მიემგზავრებიან სასწრაფოდ ყოფილი მინისტრები საქართველოდან, რამდენ ხანს შეძლებენ მშვიდობიან თანაარსებობას სააკაშვილი და ივანიშვილი, ახდება თუ არა **„ქართული ოცნება“** და როგორი გახდება საქართველო ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ იმ საკითხად, რომელსაც ყველა პოლიტოლოგი, ჟურნალისტი და ექსპერტი უბრუნდება, მიხეილ სააკაშვილის შემდგომი ბედი რჩება.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ლამის მეორე დღესვე კოალიცია **„ქართული ოცნების“** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის პერსპექტივებთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა: **„სააკაშვილმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. თუ ის განცხადებას დაწერს, თანამდებობიდან წავა და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს – ყველაფერი ნორმაში ჩადგება. სხვა შემთხვევაში, ბევრი პრობლემა იქნება“**.

განცხადებამ ევროკავშირის მხრიდან მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა, ქართველ საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება პოვა და ივანიშვილისა და სააკაშვილის მომხრეებს შორის მასშტაბური დისკუსიები გამოიწვია. მაგრამ პრობლემებმა, რომლებზეც **„ქართული ოცნების“** ლიდერი ლაპარაკობდა, უკვე იჩინა თავი.

მაგალითად, ივანიშვილმა განაცხადა, რომ **„საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში სოჭში, ხოლო როგორც მეზობელმა, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ოლიმპიადა მშვიდობიანად და ექსცესების გარეშე ჩატარდეს“**. ხოლო დეპუტატებმა არჩევნებში დამარცხებული **„ნაციონალური მოძრაობიდან“** მყისვე გააკრიტიკეს ის მსგავსი გამონათქვამებისთვის და უკვე საკმაოდ გაცვეთილი **„ჩერქეზული საკითხიც“** ჩაჩხირეს. ამავე დროს რეინტეგრაციისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გაოცებულია, რატომ **„უნდა იზარალოს ქართულმა სპორტმა მხოლოდ იმიტომ, რომ ოლიმპიადა სოჭში ტარდება“**.

ბევრ კითხვასა და ვარაუდს იწვევს საქართველოდან რიგი მინისტრებისა და მოხელეების სასწრაფო გამგზავრება. ხანმოკლე დროის განმავლობაში ქვეყანა დატოვეს იუსტიციის ექს-მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, შინაგან საქმეთა ექს-მინისტრმა ბაჩო ახალაიამ და მისმა ძმამ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ და სხვა ცნობილმა პოლიტიკოსებმა. ხოლო თუ სააკაშვილის ამასწინანდელ ბრძანებას გავითვალისწინებთ, რომლითაც თანამდებობიდან გათავისუფლებულ ყველა ჩინოვნიკს დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის ვადა ერთი წლით გაუგრძელდა, მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა მოგვდის თავში: ქვეყნიდან მიემგზავრებიან ისინი, ვინც იცის, რომ დანაშაულები აქვს ჩადენილი.

პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში პრინციპული განსხვავება საშუალებას არ მისცემს მათ, **„პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის აყვავებული ბაღი“** შექმნან. სააკაშვილს წასვლა მაინც მოუწევს. და რაც მალე, მით უკეთესი. სხვა საქმეა – ეყოფა თუ არა მას კეთილგონიერება, რომ ეს უახლოეს ხანებში გააკეთოს, თუ ბოლო წუთამდე მოებღაუჭება ხელისუფლებას.

თუ იმ ბრძანებულებებით ვიმსჯელებთ, რომლებსაც სააკაშვილმა ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოაწერა ხელი, პრეზიდენტი უბრალოდ კი არ ებღაუჭება ხელისუფლებას, არამედ რევანშისთვის ნიადაგს იმზადებს: თავდაპირველად სახელმწიფო უზრუნველყოფის **„ფულიანი“** სააგენტო დაიქვემდებარა, შემდეგ – სამთავრობო კავშირგაბმულობა, მერე კი ახალი ოპერატიული დეპარტამენტი შექმნა, რომელიც მისი ოჯახის მუდმივი დაცვისთვის არის განკუთვნილი. ეს ნაბიჯები მკვეთრად ეწინააღმდეგება პრეზიდენტისავე სიტყვებს, რომელმაც საჯაროდ აღიარა დემოკრატიული არჩევნები და ოპოზიციის გამარჯვება.

როგორც უნდა იყოს, მიხეილ სააკაშვილი, დასავლური ტერმინოლოგიით, უკვე **„კოჭლი იხვია“**: ის თითქოს პრეზიდენტი კია, მაგრამ უკვე არანაირი პოლიტიკური წონა არ გააჩნია. იმისათვის, რომ სახე შეინარჩუნოს და მეტ-ნაკლებად ღირსეულად წავიდეს პოლიტიკური სცენიდან, ჩვენი პრეზიდენტი უნდა გადადგეს და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნოს. ეს სწორი იქნება, ეს კაცური იქნება. და როგორც კატონმა გვიანდერძა: **„კართაგენი უნდა დაინგრეს“**.

გიორგი მალაშხია

პრემიერ-მინისტრი ეჭვობს, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში დევნილთა გახშირებული შეჭრა ორგანიზებულია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეჭვობს, რომ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დევნილთა გახშირებული შეჭრა ორგანიზებულია ხელისუფლებიდან გაძევებული ძალების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ადრე არასოდეს დაფიქსირებულა დევნილი მოსახლეობის მიერ ფართების უკანონოდ დაკავების ამდენი რაოდენობა. გასაგებია, რომ დევნილ მოსახლეობას უჭირს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარი ძალადობით ისინი ხელს უშლიან ახალ მთავრობას დევნილთა პრობლემების დროულად გადაჭრაში.

ეს კი ხელს აძლევს ნაცებს, რომლებსაც დიდად არასოდეს ანაღვლებდათ დევნილთა ბედი.

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის შიშობს, რომ ამაში **“ნაციონალთა”** ყოფილი ხელისუფლების ხელი ურევია.

“ეჭვი მაქვს, თუმცა, გადაწყვეტით ჯერჯერობით ვერ ვამბობ, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ არჩევნების დროს გასცა დაპირებები და ახლა უსრულებენ, ან რაღაც ამის მსგავსი ხდება და ამის გამო საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. მე მგონია ორგანიზებული შეკრება ხდება და ვფიქრობ, რომ ამაში ძალიან აქტიურობს ძველი ხელისუფლება”, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. დღეისათვის დაახლოებით 20.000 სოციალურად დაუცველი ოჯახია უკანონოდ შეჭრილი სხვადასხვა ფართებში, თუმცა, არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ მოძალადეთა საკმაო ნაწილი სრულიადაც არ გახლავთ სოციალურად დაუცველი და შეგნებულად თამაშობენ უმწეოთა როლს, ცდილობენ დაისაკუთრონ ახალ-ახალი ფართები, რათა შემდეგ იგი სარფიანად მიაქირავონ ნამდვილ სოციალურად დაუცველ დევნილებს.

რა ბედი ელის ვანო მერაბიშვილს?!

გამარჯვებული კოალიციის ლიდერმა, რომელიც უფლებამოსილია მომავალი მთავრობა დააკომპლექტოს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ **"ვანო მერაბიშვილის ადგილი მომავალ მთავრობაში არ არის"**.

ბევრს ეგონა, რომ ივანიშვილის პირველი ცნობილი განცხადების შემდეგ, რომელმაც მერაბიშვილი დადებით კონტექსტში მოიხსენია, ეს უკანასკნელი **"თავის გადარჩენის"** მიზნით მოხერხებულ ნახტომს გააკეთებდა და ივანიშვილის ნავში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ვანომ მათ იმედები გაუწბილა.

ბევრისთვის დიდი კითხვის ნიშანი იყო არჩევნების წინ ვანო მერაბიშვილის **"დაქვეითება-დაწინაურებაც"** – მავანი თვლიდა, რომ ამით სააკაშვილმა თავის მრავალწლიან დედაბოძს საყრდენი გამოაცალა და ახალაიების კლანს ბოლომდე მიენდო. ხმამაღლა იმაზეც საუბრობდნენ, რომ **"ნაცლიდერი"** წინასაარჩევნოდ რეპრესიულ მანქანას აამოქმედებდა და ამით შეძლებდა ხელისუფლების შენარჩუნებას. ივანიშვილის მოხერხებულობამ და მისმა უზუსტესმა გათვლებმა სააკაშვილს მზაკვრული გეგმები წყალში ჩაუყარა და წინასაარჩევნოდ აფიშირებულმა ციხის ამაზრზენმა კადრებმა ყველაფერზე ხელისმომწერი ბაჩო ახალაია შეიწირა. სწორედ **"ათიანში გარტყმულმა"** ტრიუკმა გადატეხა წელში **"ნაცმოძრაობა"** და სააკაშვილი იძულებული გახდა **"ცივილიზებულად"** ედიარებინა დამსახურებული დამარცხება.

მიუხედავად ამისა, საზოგადოების უმეტეს ნაწილს მიაჩნდა, რომ ივანიშვილი მის მიერ **"კარგ მენეჯერად"** აღიარებულ ვანოს **"შეიწყალებდა"** და თავის მინისტრთა კაბინეტში შესაფერის ადგილსაც მოუძებნიდა.

არ ვიცი, ივანიშვილმა არ ისურვა, თუ თავის დროზე მერაბიშვილმა მასთან გადასვლა არ მოინდომა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – ვანოს ადგილი ივანიშვილის ახალ მინისტრთა კაბინეტში არ არის!

გამარჯვებული კოალიციის ლიდერი არც მალავს, რომ არა მარტო ახალაიებს, არამედ **"ნაცმოძრაობის"** სხვა ზონდერებსაც, ვინც თავი გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკით, კანონის ძალით **"ვირის აბანოში"** მიაბრძანებს. თუმცა, არავინ იცის, იგივე ბედი ელის თუ არა ვანო მერაბიშვილსაც, რომელზეც თითქმის 9 წელი იდგა სააკაშვილის ხელისუფლება.

მიუხედავად უდანაშაულო ახალგაზრდების გახმაურებული მკვლელობებისა, რომელსაც არა მარტო შინაგან საქმეთა მინისტრის, არამედ, მთლიანად ხელისუფლების გადადგომა უნდა მოჰყოლოდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ვანო მერაბიშვილი მკვლელად არ აღიქმებოდა. პირიქით, ბევრი მის მიერ გატარებულ პოლიციის რეფორმას დადებითად აფასებდა და ქვეყანაში არსებულ მოჩვენებით სიმშვიდესაც მას უკავშირებდა. იგივეს ნიშნავდა ივანიშვილის მიერ მერაბიშვილის **"კარგ მენეჯერად"** მოხსენიებაც. სხვათაშორის, ივანიშვილს ასეთი ეპითეტები სხვა დროსაც არ დაუშურებია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მას ვანო შინაგანად ესიმპათიურება.

რაც შეეხება გუშინდელ განცხადებას, რომ მერაბიშვილის ადგილი ახალ მინისტრთა კაბინეტში არ არის, ეს უფრო იძულებითი ნაბიჯია – საზოგადოება მას მერაბიშვილთან თანამშრომლობას ნამდვილად არ მოუწონებს. ივანიშვილი კი ის ადამიანი არ არის, ამას ვერ ხვდებოდეს.

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: იგი იშვიათად უშვებს შეცდომებს, მისი ყველა ნაბიჯი, თუნდაც ყველა ხმამაღალი განცხადება გათვლილ-გააზრებულია და ბუმერანგივით უკან არასოდეს უბრუნდება.

რაც შეეხება მერაბიშვილს, მართალია, იგი მინისტრის პორტფელს ივანიშვილის მთავრობაში ვერ მიიღებს, მაგრამ მას ციხისთვის რომ არ გაიმეტებენ, ფაქტია. სხვათაშორის, მის მიმართ აგრესიული მუხტი არც საზოგადოებაში არსებობს!

ზაურ ნაჭყებია

ირაკლი ალასანია – ვერ მივცემ თავს უფლებას, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის გამოყოფილი იყოს თვეში 800 000 ლარი

ვერ მივცემ თავს უფლებას, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის გამოყოფილი იყოს თვეში 800 000 ლარი,– ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის არასწორი და არამიზნობრივი ხარჯი, რომ 80 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდეს ხალხს საქართველოს ფუნქციადაკარგული პრეზიდენტის დამატებითი თვითმფრინავით უზრუნველყოფა. ირაკლი ალასანიას თქმით, სწორედ ეს საკითხი არის გადახედილი.

"ჩვენ ალბათ ამ ვალდებულებისგან გავთავისუფლდებით. 80 მილიონიდან უკვე გადახდილია 13 მილიონი ლარი. მომავალში გვაქვს ვალდებულება, რომ გადავიხადოთ 74 მილიონი ლარი", – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისი თქმით, იმის გამო, რომ აღარ დაფინანსდება პრეზიდენტის თვითმფრინავით უზრუნველყოფა, აქედან გამომდინარე იქნება ეკონომია ქვეყნის ბიუჯეტში და, ალასანიას განცხადებით, ამგვარი ხარჯები მომავალში აღარ გაიღება.

და მართლაც, რაიმე აზრი რომ ჰქონდეს უკვე ყველასაგან მოძულებული და უარყოფილი (უთავმოყვარეოც, რადგან მის ადგილზე მყოფი ნებისმიერი ნორმალური ადამიანი უკვე გადადგებოდა საკუთარი ნებით, ეს სომეხი ჩარჩი კი კვლავაც ძველი მონდომებით ებღაუჭება პრეზიდენტობას, რომელიც მან არჩევნების გაყალბების გზით გამოსძალა ქართველ ერს) სააკაშვილის ვოიაჟებს, კიდევ მესმის, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ იგი პოლიტიკური გვამი გახდა და მისი აღმა-დაღმა სიარული არაფრის მომტანია ქვეყნისათვის, გარდა დამატებითი ხარჯებისა.

განა ასე არ იყო, როცა ნოემბერში იგი 18-კაციანი დელეგაციით ესტუმრა ჯერ სლოვენიას, შემდეგ კი ბრიუსელს და ორივეგან საქართველოს ლანძღვა-გინების მეტი არაფერი უკეთებია, და შეცდომაში შეიყვანა ნატოს გენერალური მდივანი და მის მიერვე მოქრთამული ევროპელი მარალჩინოსნები, რისი გამოსწორებაც შემდეგ ბიძინა ივანიშვილს მოუწია.

როგორც ალასანიამ განაცხადა, მთელი ბიუჯეტი ეფექტურად უნდა იყოს მიმართული ჯარისკაცების, სამხედროების საბრძოლო მზადყოფნის განვითარებისთვის და არა ერთი ადამიანის ფუფუნებისთვის. რაც შეეხება ნოემბერში გამართულ სხდომას, როგორც ალასანიამ განაცხადა, **"დღეს იყო მოთელვა მომავალი წლის ბიუჯეტის, რომელიც წარდგენილი იქნება პარლამენტში"**. ალასანიას თქმით, მოხდა შეთანხმება გარკვეულ პარამეტრებზე და, როგორც მინისტრმა აღნიშნა, როგორც მთავრობა დაპირდა საზოგადოებას, ახალი მთავრობის სურვილია მთავრობა იყოს მოქნილი და არ ცხოვრობდეს ხალხის ხარჯზე ფუფუნებაში.

პარლამენტის ახალი შენობა შესაძლოა დაკონსერვდეს

პარლამენტის ახალი შენობა, რომლის მშენებლობაც დასრულებული და ექსპლუატაციაში ოფიციალურად გადაცემული არ არის, შესაძლოა დაკონსერვდეს.

აღნიშნული საკითხი ბიუროს სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობამ დააყენა. **"ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენელმა აკაკი ბობოხიძემ სახელისუფლებო გუნდს მიმართა იმ 15-20 მლნ ლარის წყაროს მოძიების წინადადებით, რაც პარლამენტის შენობის მთლიანად დასრულებას სჭირდება. თუმცა, როგორც აკაკი ბობოხიძის საპასუხოდ უმრავლესობის ლიდერებმა დავით საგანელიძემ და ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნეს, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საბოლოო გადაწყვეტილება, დარჩება თუ არა პარლამენტი ქალაქ ქუთაისში, იქნება ეს შენობა სასწავლო-საუნივერსიტეტო დაწესებულება თუ სხვა ფუნქციის მატარებელი ობიექტი, უმჯობესია მოხდეს შენობის კონსერვაცია და არსებული სახით მისი შენარჩუნება.

დეპუტატებმა ამ კონტექსტში ხაზი გაუსვეს პარლამენტის შენობის მაღალ ხარჯიანობას და პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. ამასთან, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია პარლამენტის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებულ ფინანსურ დარღვევებზე და იმ სამშენებლო პრობლემატიკაზე, რაც პარლამენტის შენობასთან მიმართებაში იკვეთება.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დადგა საკითხის სახელმწიფო აუდიტის მიერ შესწავლის აუცილებლობა. აღნიშნულ პოზიციას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ერთმნიშვნელოვნად იზიარებს.



„15 წლის გივი თარგამაძემ სქესობრივ კონტაქტზე დაიყოლია 12 წლის მეზობელი!"

მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერ სერგეი უდალცოვს, რომელსაც ბრალად ედება მასობრივი არეულობების მომზადება მოსკოვში, ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს, ხოლო საქმის მეორე ფიგურანტმა ლეონიდ რაზვოზჟაევმა, რომელიც კიევიდან მოსკოვში ჩამოიყვანეს, აღიარებითი ჩვენება მისცა, სადაც დაადასტურა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის დეპუტატ გივი თარგამაძის კავშირი ბოლოტნაიას მოედანზე მომხდარ მოვლენებთან, რა ბედი ეწევა **„ფერადი რევოლუციების"** პოლიტტექნოლოგს, უცნობია. სამაგიეროდ, გამომზიურდა დეტალები, რომლებიც რუსეთის 1-ლი არხის პროგრამაში – **„ადამიანი და კანონი"**, ტელეწამყვანმა საზოგადოებას გააცნო.

„ჰუმანიტარული ღირებულებებისა და დემოკრატიული იდეალებისადმი მსახურება გივი თარგამაძემ 15 წლის ასაკიდან დაიწყო", – განაცხადა გადაცემაში – **„ოდნაკო"** – ტელეწამყვანმა მიხეილ ლეონტიევმა, რომლის თქმითაც, არასრულწლოვანმა თარგამაძემ სქესობრივ კონტაქტზე დაიყოლია 12 წლის მეზობელი და ეს სკანდალი დიდი ფულის წყალობით მიჩქმალეს მისმა მშობლებმა. ლეონტიევის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია ასი პროცენტით სანდო წყაროსგანაა მიღებული.

ლეონტიევის განმარტებით, მას შემდეგ თარგამაძეს არჩეული ფასეულობებისთვის არ უღალატია და იგი ფიგურირებდა ყველგან, სადაც საუბარი იყო **„ფერად რევოლუციებზე"**: **„ვარდების რევოლუცია"** საქართველოში, **„ტიტებისა"** – ყირგიზეთში, **„ნარინჯისფერი"** – უკრაინაში და ყველგან შეიძლებოდა დატოვება წარწერისა: **„აქ იყო ვასილიჩი"**!

„ფერადი რევოლუციების" ძირითადი მიზანი ყოველთვის იყო მოქმედი ხელისუფლების დამხობა ქუჩის გამოსვლებით, ხოლო ქუჩაში ხალხის გამოყვანის ყველაზე მარტივი გზა გახლდათ არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადება.

„ფერადი რევოლუციების" ტალღას 2003 წელს საქართველოში, სადაც **„ვარდების რევოლუციის"** მთავარი დამფინანსებელი აშშ იყო, მოჰყვა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში, როცა იანუკოვიჩმა სულ რამდენიმე პროცენტით მოუგო იუშჩენკოს და რევოლუციაც **„ნარინჯისფრად"** აეწოო. 2010 წელს, ისევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დონეცკის აეროპორტში ქართველების **„დესანტი"** გადმოსხდა, რომელთათვისაც იულია ტიმოშენკო საერთაშორისო დამკვირვებლების სტატუსის მიწებებას ლამობდა. ვინ დააფინანსა ისინი? პასუხი: თარგამაძემ. და არგუმენტად ტელეწამყვანმა ვანო მერაბიშვილისა და პოლიტტექნოლოგიების ექსპერტ ვასილიჩის სატელეფონო საუბარი მოიყვანა.

მერაბიშვილი: „ჰკითხე იულიას, როგორც ჩამოვიყვანოთ მანდ ქართველები?"

თარგამაძე: „ახლავე შევუდგები მაგ საქმეს".

ამ სკანდალთან თარგამაძის კავშირს ადასტურებს ტიმოშენკოსა და სააკაშვილის სატელეფონო საუბარიც, რომლის ჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა.

– „იულია, როგორ მიდის საქმეები?" „კარგად, ვმუშაობთ, მაგრამ პრობლემა გვაქვს. გუშინ რეგისტრაცია ვერ მოხერხდა, იცით, ხომ?" „

– გივი მანდაა, იქნებ ვინმე თქვენიანი დაუკავშირდეს?!"

2006 წელს თარგამაძემ ბელორუსიის პრეზიდენტობის კანდიდატ მილენკევიჩის თავიდან მოშორებაც სცადა. სატელეფონო ჩანაწერი, სადაც ფერადი რევოლუციების სულისჩამდგმელი, სავარაუდოდ, ლიტვის საგარეო საქმეთა თანამშრომელ ვინმე ალბინასს ესაუბრება, თავის დროზე პროგრამაში – **„ოდნაკო"** – მიხეილ ლეონტიევმა წარმოადგინა. ალბინასი შესჩივის, რომ მილენკევიჩი ევროპაში მოგზაურობს და პიარს იკეთებს, რაზეც **„ვასილიჩი"** პასუხობს: **„ტურინში ჩემი და ცხოვრობს, სიძეს დავურეკავ და მოველაპარაკები, რომ მოკლას"...**

არსებობს სხვა აუდიო და ვიდეოჩანაწერებიც, სადაც თარგამაძე ლუკაშენკოს მოწინააღმდეგე ანატოლი ლებედკოს ხვდება და მოქმედი ხელისუფლების დასამხობად 4 მლნ დოლარს სთავაზობს.

მიხეილ ლეონტიევის განცხადებით, როცა გივი თარგამაძე ვინმეს 4 მილიონს, 2 მილიონს ან, თუნდაც, 100 ათასს სთავაზობს, რა თქმა უნდა, ეს ფული მისი პატრონისაა ვაშინგტონში...

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ ლენიდ რაზვოზჟაევმა გამომძიებლებს ის 3.300 დოლარი გადასცა, რომელიც ქართველი პოლიტიკოსის გივი თარგამაძისგან კონსტანტინე ლებედევის მეშვეობით მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ ინტერნეტგამოცემა **„ლენტა .რუ"** ავრცელებს.

ამის შესახებ ნათქვამია აღიარებით ჩვენებაში, რომელიც, რფ-ის საგამოძიებო კომიტეტის ვერსიით, ნებაყოფლობით დაწერა რაზვოზჟაევმა. **„The New Times"**-მა კი გამოაქვეყნა აქტივისტის მიერ დაწერილი ჩვენების ბოლო ფურცლის ასლი. **რფ**-ის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელ ვლადიმირ მარკინის თქმით, სულ რაზვოზჟაევმა 10-გვერდიანი ტექსტი დაწერა.

საქინფორმი

კაცი, რომელმაც საბჭოთა ენციკლოპედიის აკრძალული მეხუთე ტომი შემოინახა

როგორც სერგეი კრემლიოვის ცნობილ ნაწარმოებში "ლავრენტი ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" წერია, 1954 წელს პოსტსტალინისტურმა ხელისუფლებამ ხმარებიდან ამოიღო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომი, რომელშიც დაბეჭდილი იყო სოლიდური მოცულობის სტატია ლავრენტი ბერიას შესახებ. მათ, ვისაც უკვე შეძენილი ჰქონდა ეს წიგნი, მოსთხოვეს აღნიშნული გვერდების ამოჭრა და მათ ნაცვლად სპეციალური ბანდეროლით მიღებული ახალი გვერდების ჩაწებება. მოსახლეობის უმრავლესობას შიშმა სძლია, თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ მითითებას არ დაემორჩილნენ. გაზეთ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" ერთ-ერთი აქტიური ავტორი, ბატონი ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ ერთ-ერთი მათგანია, ვისაც დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომის ხელუხლებელი დედანი აღმოაჩნდა და რედაქციაში დაგვირეკა.

– ბატონო ლეონტი, როგორ მოახერხეთ აკრძალული ტომის სრულყოფილი ვარიანტის შენახვა?

– 1954-ში, როცა აკრძალეს 1950 წელს გამოცემული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომი და მოითხოვეს წიგნიდან იმ გვერდების ამოღება, სადაც ბერიას შესახებ ეწერა, უდიდესი ინტერესი გამიჩნდა, როგორმე მეშოვა აკრძალული ტომის პირველადი ვარიანტი. მოგვიანებით, ერთ-ერთ ბუკინისტთან, შემთხვევით გადავაწყდი პირველ ცხრა ტომს. ეტყობა, გამყიდველმა არ იცოდა, რომ მას აკრძალული გამოცემა ჰქონდა. ცხადია, ეს რომ აღმოვაჩინე, სასწრაფოდ გამოვართვი. საბჭოთა ენციკლოპედია, რომელიც თავდაპირველად 5 მანეთი ღირდა, იმ პერიოდისათვის უკვე ჩამოფასებული იყო და 2 მანეთად ვიყიდე.

– როგორ გახსენდებათ ის პერიოდი, როცა ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანტისტალინისტური კამპანია გააჩაღა?

– მაშინ ძალიან ბევრი უსამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. აკრძალეს არა მარტო ის წიგნები, სადაც ბერიას შესახებ ეწერა, არამედ გაანადგურეს ყველა ის გამოცემა, რაც ბერიას სახელობის სტამბაში იყო დაბეჭდილი. მახსოვს, მანქანათმშენებლობის ქარხანაში, სადაც იმ პერიოდში ვმუშაობდი, ხელის ერთი მოსმით გაანადგურეს უნიკალური ბიბლიოთეკა. მოგეხსენებათ, მაშინ ყოველ მეორე გამოცემაში სტალინი და ბერია იყო მოხსენებული.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება სტალინისადმი?

– მიუხედავად იმისა, რომ ხრუშჩოვი და მისი თანამოაზრეები ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენთვის გონება მოეწამლათ, სტალინი დღემდე ერთადერთი და შეუცვლელი ბელადია ჩემთვის. ბელადის მიმართ ასეთივე ამაღლებული განწყობა მაქვს, როგორიც მისი ხილვისას მქონდა. იგი 1952 წელს სოჭის თეატრში, ერთ-ერთ სპექტაკლზე დავინახე. რამდენიმე დღით ადრე გავრცელდა ხმა, რომ სტალინი სპექტაკლზე აპირებდა დასწრებას. მახსოვს, მე და ჩემმა მეგობრებმა ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ბილეთები გვეშოვა. როდესაც დარბაზში შევედით, პარტერი ცარიელი დაგვხვდა. თავად სტალინი კი ლოჟაში, თეთრ კიტელში გამოწყობილი იჯდა. სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, ბელადმა მომდიმარი სახით მოავლო თვალი დარბაზს და მოგვესალმა, რასაც ხალხის მხრიდან მქუხარე ოვაცია მოჰყვა. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ამაღელვებელი და ბედნიერი წუთები იყო.

– ბატონო ლეონტი, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას, აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, საგულდაგულოდ ინახავთ. დღეს თუ გიჩნდებათ სურვილი, იგივე ენთუზიაზმით შეიძინოთ და წაიკითხოთ თანამედროვე პოლიტიკოსებზე დაწერილი წიგნები?

– ყიდვით ვყიდულობ, თუმცა... ამ წიგნების უმრავლესობაც ისეთივე სულელური და უაზროა, როგორც მთელი მათი მოღვაწეობა. მე რომ მკითხოთ, სტალინსა და ბერიაზე დაწერილი გენიალური გამოცემები კი არ უნდა აკრძალულიყო, არამედ იმ სიყალბესა და სიმახინჯეებს უნდა მოეღოს ბოლო, რაც, თუნდაც, ედუარდ შევარდნაძის წიგნში – **"ჩემი არჩევანი"** არის გადმოცემული.

კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვში მიიწვიეს

2012 წლის 11 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ეწვია მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის (მᲝᲤᲔᲠᲗ) პრეზიდენტი, მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის (მᲐᲠ) მრჩეველი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ვალერი ალექსეევი.

MᲝᲤᲔᲠᲗ-ის პრეზიდენტი მოსკოვიდან საქართველოში სპეციალურად, საპატიო მისიით ჩამოვიდა, რომლის შესახებ მან საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის" მთავარ რედაქტორ არნო ხიდირბეგიშვილს მოუთხრო.

Ვ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ: „მე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის ოფიციალური გზავნილი ჩამოვიტანე, რომელიც შეიცავს მილოცვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესადმი მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ერთადერთი პრემიით მის დაჯილდოებასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ეკლესიის მეთაურებს და სახელმწიფოს ხელმძღვანელებს – „მართლადიდებელი ხალხების ერთიანობის განმტკიცებაში ღირსშესანიშნავი მოღვაწეობისთვის".

და ყველაზე მთავარია, რომ ეს გზავნილი შეიცავს ოფიციალურ მოწვევას სრულიად საქართველოს პატრიარქისადმი – ეწვიოს მოსკოვს 2013 წლის იანვარში ამ პრემიის მისაღებად და სრულიად რუსეთის პატრიარქთან და, იმედი მაქვს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სახელმწიფო პირებთან მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.

Ა. ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ვალერი არკადის ძევ, შედგება თუ არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინთან?

Ვ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ: „ტრადიციულად, მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის პრემიის ლაურეატებს მოსკოვში ყველაზე მაღალ დონეზე იღებენ. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი თვითონ არის ამ პრემიის ლაურეატი, უზარმაზარი პატივისცემით ეკიდება ყველა ლაურეატს და, როგორც წესი, ხვდება მათ, ვიმედოვნებთ, რომ ეს შეხვედრა შედგება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვიდან მოწვევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის ძალზე მნიშვნელოვან დროს ჩამოვიდა და ეკუთვნის სწორედ უწმინდეს პატრიარქ ილიას – პირველს, ვინც მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეს.

მნიშვნელოვანია, რომ პატრიარქმა ილია მეორემ დღეს მადლიერებით მიიღო ეს ჯილდო, გამოთქვა რა სურვილი და მზადყოფნა, ჩავიდეს მოსკოვში, რათა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში რეალური გარღვევა განახორციელოს. მნიშვნელოვანია, რომ ეს მისია ერის სულიერ ლიდერს დაეკისრა – ის აღებს ამ კარს, ახალ ფურცელს რუსულ-ქართულ სახელმწიფო ურთიერთობაში. და ეს – სრულიად საფუძვლიანი და დამსახურებულია, იმიტომ, რომ საქართველოს პატრიარქი ძალიან ბევრს აკეთებდა და აკეთებს რუსულ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის.

არ მახსოვს ისეთი თვე ან დღე, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველა ამ რთული, კრიზისული მომენტის განმავლობაში პატრიარქი ილია არ მოუწოდებდა და პირადად არ უწყობდა ხელს მის ნორმალიზაციას. ამიტომ ეს პრემია მართლაც აგვირგვინებს მის უზარმაზარ შრომას, დამსახურებებს და მიღწევებს ამ ურთიერთობის დამშვიდებისა და გაუმჯობესების სახელით, საერთოდ – მთელ მართლმადიდებელ სამყაროში კლიმატის გაჯანსაღების სახელით. ეს ჯილდო ხომ გადაეცემა მისი დამსახურებისთვის არა მარტო კონკრეტულ ეროვნულ ასპარეზზე, არამედ მთელი მართლმადიდებლობის ასპარეზზე, სადაც უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია მეორეს როლი უაღრესად დიდი და საყოველთაოდ აღიარებულია, ეს პრემია მხოლოდ აფიქსირებს მისი დამსახურებების სრულიად მართლმადიდებლურ აღიარებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხდება საქართველოს პატრიარქის 80 წლის იუბილეს დღეებში: სიმბოლურად დაემთხვა, რომ როდესაც საქართველოში ყველა იზეიმებს მის 80 წლის იუბილეს, იმავე დღეებში პატრიარქი მოსკოვში ჩამობრძანდება, სადაც 21 იანვარს ეს პრემია გადაეცემა!"

Ა. ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ვლადიმერ არკადის ძევ, მოგვიყევით მოსკოვში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტის მზადების შესახებ...

Ვ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ: „ვიზიტი წინასწარ მომზადდება. უწმინდეს პატრიარქთან შეთანხმებით, მისი ლოცვა-კურთხევით მოსკოვში მივლენილ იქნება დეკანოზი გიორგი (ხარაზიშვილი), რომელიც ჩვენთან ერთად დაკავდება ვიზიტის მომზადებით. მე ვთხოვე მის უწმიდესობას მისი ერთ-ერთი ნაწარმოების პარტიტურა, რათა ის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გამართულ კონცერტზე შესრულდეს, და დეკანოზი გიორგი დაგვპირდა, რომ მას უახლოეს ხანებში გამოგვიგზავნის.

მე, აგრეთვე, რამდენიმე შეკითხვა დავუსვი მის უწმიდესობას იმ ექსკლუზიური ინტერვიუსთვის, რომლითაც მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჟურნალის 2013 წლის პირველი ნომერი გაიხსნება. ჩვენ პრაქტიკაში გვაქვს, რომ ყოველ წელიწადს ჟურნალის პირველ ნომერს პრემიის მორიგი ნომინაციის პატრიარქის ღირსების მქონე ლაურეატი ხსნის – გასულ წელს ეს იყო ალექსანდრიის უწმიდესი პატრიარქი, მომავალ წელს კი სრულიად საქართველოს პატრიარქი იქნება, რომელმაც უკვე მოგვცა თანხმობა და თავისი ვიზიტის მოსამზადებელი დავალებები გასცა.

Ა. ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: დავამატებ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორეს მოწვევით მის გუშინდელ შეხვედრას მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის პრეზიდენტ ვ.ვ. ალექსეევთან ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძე, რომელიც მომავალი წლის იანვარში მოსკოვში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანმხლები დელეგაციის შემადგენლობაში შევა.

დელეგაცია კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ხელმძღვანელობით მოსკოვში 2013 წლის 20 იანვარს ჩავა, პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიამდე ერთი დღით ადრე, და, სავარაუდოდ, მოსკოვში ერთ კვირას დაჰყოფს.

გაზეთ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" კომენტარი – არ უნდა დავივწყოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორეს დამსახურება იმ საქმეში, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია დღესაც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას!

Коллектив общественно-политической газеты "Гал" (Абхазия) искренне соболезнует родным и близким безвременно ушедшего ученого и общественного деятеля, пламенного патриота мегрельского народа

АНЗОРА КЛИМЕНТЬЕВИЧА ШОНИЯ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲗ"

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ განათლების სისტემა ლამის საარჩევნო აქტივად გარდაქმნა, რომ არაფერი ვთქვათ პოლიციელებად ქცეულ მანდატურებზე, რომლებიც სკოლებში მდგომარეობის ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ და მათი თვით სკოლის დირექტორებსაც კი ეშინოდათ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა სკოლის მოხსნილი დირექტორის ნაცვლად მათ ადგილებს მანდატურებად გარდაქმნილი გუშინდელი პოლიციელები იკავებდნენ. რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი ქართველ ამომრჩევლებთან შეხვედრებსა და ნაცების სასარგებლო პროპაგანდას ბევრად მეტ დროს უთმობდნენ, ვიდრე მოსწავლეებთან მუშაობას. ყოველივე ამან კი მძიმე კვალი დაამჩნია საქართველოში ერთ დროს მაღალგანვითარებულ დარგს, რომლითაც ქვეყანას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა პოსტსაბჭოთა სივრცეში. მაგრამ ნაციონალები ჩამოცილდნენ ხელისუფლებას და საზოგადოების პირველი მოთხოვნა გახლდათ ის, რომ ქართულ სკოლას დაბრუნებოდა ყოფილი დიდება.

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე განათლების მინისტრი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გვესაუბრება:

– დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, აღდგეს ქართული მეცნიერება. ჩვენისთანა პატარა ერს, გლობალიზაციისა და ერთა შორის კონკურენციის პროცესში, ფონს გასვლა მხოლოდ მეცნიერებითა და კულტურით შეუძლია. სხვაგვარად ჩვენი არსებობა მსოფლიოს რუკაზე წარმოუდგენელია.

საჭირო, განათლების სისტემამ ინვესტიცია მეცნიერებაში ჩადოს, რადგან შესაძლოა, მალე მომავალ თაობას მთელი რიგი მეცნიერებები ვეღარ შევასწავლოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სათანადოდ მომზადებული პროფესორ-მასწავლებლები აღარ გვეყოლება. დღეს განათლების სამინისტრო დილემის წინაშე დგას: მოვამზადოთ ბაზრისთვის შესაბამისი სტუდენტი თუ უმთავრესი გავხადოთ ის სფერო, რომელიც ქვეყნის განვითარებას სჭირდება? ამ ნაწილში ბოლო 20 წლის განმავლობაში ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული. აუცილებელია, საქართველომ თავისი პროფესურა გაზარდოს, ეს კი მეცნიერების ხელშეწყობის გარეშე წარმოუდგენელია. გია დვალმა ჩამოაყალიბა კომისია, რომელიც უშუალოდ მუშაობს იმაზე, თუ როგორ დაფინანსდეს მეცნიერება, როგორ გადავიდეს ეს ყველაფერი სწავლების პროცესში. საბჭოთა კავშირს ჰქონდა შესაძლებლობა, განათლება მიეცა მოსახლეობის ძალიან დიდი სეგმენტისთვის და იქ თავისთავად ჩნდებოდნენ ვარსკვლავები. როდესაც ამხელა რესურსი არა გაქვს, უფრო კონცეპტუალურად უნდა იმუშაო, განსაკუთრებით ნიჭიერ ადამიანებს მაინც რომ შეუქმნა სამუშაო პირობები.

ამიტომ დავაფინანსებთ ათს და მათში სამი, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანი აუცილებლად იქნება.

საინტერესო პროექტი აქვს წინა ხელისუფლებას: ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. ვცდილობთ, ეს პროექტი მაქსიმალურად დავხვეწოთ.

– ბატონო გიორგი, წლებია, საზოგადოების დიდი ნაწილი მისაღებ გამოცდებზე ზოგადი უნარ-ჩვევების შემოღებას აპროტესტებს...

– ზოგადი უნარ-ჩვევები ცუდი არ არის, უბრალოდ, სკოლაში ცალკე საგნად არ ისწავლება და აბიტურიენტების დიდი ნაწილი რეპეტიტორებთან მეცადინეობს. თუმცა, უნარ-ჩვევების კომპონენტებს ყველა სხვა საგანი შეიცავს და მათი სხვა კონტექსტში გააზრება და გაანალიზებაა უნარ-ჩვევები, რაც ერთგვარი შემოქმედებითი პროცესიცაა.

– სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური ხომ არ შემცირდება?

– დაფინანსება, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტისთვის გაწეული დახმარება, ამასთანავე, დახმარება იმ დარგისა, რომლის განვითარებაც ქვეყნისთვის უმთავრესია. პირიქით, სწავლის გადასახადის გაძვირებას ვაპირებთ. განათლებაში მეტ ფულს უნდა ვიხდიდეთ, შესაბამისი ცოდნა რომ შევიძინოთ, მაგრამ ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ბანკიდან სესხის სახით თუ ოჯახიდან, ეს სხვა თემაა. სწავლის საფასურის გაიაფებით თავის მოტყუების მეტს ვერაფერს მივიღებთ. ასე განათლების ხარისხი კიდევ უფრო დაეცემა და შესაძლოა, ბოლოს უფასოდ დავიწყოთ დიპლომების დარიგება.

– სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე რას იტყვით?

– ეს გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოსგან ავტონომიურობას, არამედ თვითონ, აკადემიურ თავისუფლებას უნივერსიტეტში, რომ პროფესორი იყოს თავისუფალი. მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რექტორი შეზღუდავს თუ განათლების სამინისტრო? მეცნიერთა თავისუფლებამდე უნდა მივიდეთ და ბევრი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი. ჩვენი ამოცანაა, უნივერსიტეტის შიგნით თავისუფალი გარემო შეიქმნას.

– სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხულ სტუდენტებს რა ბედი ეწევათ?

– ჯერ არ ვიცი. ჩვენი მიზანია, შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ხელმოკლე ოჯახების ნიჭიერ მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სწავლა სახელმწიფოს ხარჯზე დაასრულონ, მაგრამ აქაც სიფრთხილის გამოჩნაა საჭირო, მარტო დიპლომის აღებას ვერავის დავუფინანსებთ. აკრედიტაციის სამსახურის გაძლიერებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

– წინა ხელისუფლებამ ინგლისური ენის შესწავლა პირველ ადგილზე დააყენა...

– ეს სწორი ტენდენციაა, რადგან სხვაგვარად არაფერი გამოვა. ნებისმიერ ადამიანს, მით უფრო თუ ის მეცნიერულ მოღვაწეობას შეუდგება, ინგლისური აუცილებლად სჭირდება...

– ინგლისური ენა პირველი კლასიდან უნდა ისწავლებოდეს? ამით ქართულ ენას ხომ არ ვამცრობთ?

– რატომ უნდა დაჩაგროს ინგლისურმა ქართული ენა? თუ 6 წლის ბავშვმა ქართული არ იცის, მას სხვაგვარი სკოლა სჭირდება. ბავშვები ინგლისურს როგორც მეორე ენას, ისე სწავლობენ.

– პირველ კლასში წერა-კითხვის კომპიუტერით შესწავლა მისაღებია?

– ამას დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც... იყო დრო, როდესაც ადამიანები განათლებას წიგნის გარეშე იღებდნენ. ჩვენი კულტურა, პოეზია, მეცნიერება მანამდეც ვითარდებოდა, ვიდრე წიგნი ყოფით ცხოვრებაში შემოვიდოდა. პითაგორას სკოლაში საერთოდ არაფერი იწერებოდა, ფილოსოფიის ფუძემდებელი სოკრატე არაფერს წერდა, არც ჰომეროსს დაუწერია **"ილიადა"** და **"ოდისეა"**, ხალხმა ზეპირად იცოდა... სწორი განათლება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა. წიგნის კომპიუტერით ჩანაცვლება, ალბათ, გამართლებული არ არის, მაგრამ ეს ის რეალური სამყაროა, რომელშიც ვცხოვრობთ.

– ისიც რეალობაა, რომ საქართველო წიგნიერების თვალსაზრისით ერთ-ერთი ბოლო ქვეყანაა...

– ეს წიგნთან ან კომპიუტერთან არ არის დაკავშირებული. ეს განათლების სისტემის პრობლემაა და უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება.

– სკოლაში მანდატურების არსებობა რამდენად აუცილებელია?

– მანდატურები სკოლაში რჩებიან, ისინი აღარ არიან პოლიციური ფუნქციის მატარებლები. აღარ ევალებათ შიდაგანაწესის დაცვა, მასწავლებლისა და დირექტორის კონტროლი. ჩვენ ბავშვებს აღსაზრდელად მანდატურთან კი არ ვუშვებთ, არამედ მასწავლებელთან. მანდატურებს მხოლოდ ბავშვების უსაფრთხოების დაცვა ევალებათ.

– სასკოლო სახელმძღვანელოების პრობლემას როგორ მოაგვარებთ?

– რაზეც თამამად და გაბედულად ვიმუშავებთ, წიგნებზე ფასების დაწევაა. ვფიქრობთ, რომ წიგნი გამოვიყენოთ რამდენიმე წლის განმავლობაში და ის ყოველ წელიწადს აღარ შეიცვალოს. სექტემბრის მოახლოება მრავალი ოჯახისთვის დღეს კატასტროფის ტოლფასია, მით უფრო, თუ ღვთის წყალობით, ოჯახში რამდენიმე ბავშვია.

– დირექტორის არჩევის სისტემაში ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

– ვცდილობთ, გავიაზროთ ახალი სისტემა, რომლის თაობაზეც საზოგადოებას ახლო მომავალში მოვახსენებთ. სამეურვეო საბჭოების შექმნა საკმაოდ დემოკრატიული ნაბიჯი იყო, ორიენტაცია სწორი იყო, მაგრამ მენეჯმენტის თვალსაზრისით – გაუმართლებელი და ამიტომაც არ მუშაობდა.

– წინასაარჩევნო პერიოდში მკვეთრად პოლიტიზებული სკოლა ვიხილეთ. მასწავლებლის ავტორიტეტი საზოგადოების თვალში ძალიან დაეცა...

– ეს **"ნაციონალური მოძრაობის"** დიდი დანაშაულია. მათ გადაწყვიტეს, რომ ეს უზარმაზარი სისტემა მათი პოლიტიკური რესურსი ყოფილიყო და ვერ მიხვდნენ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში იმ ხალხის გამოყენება, რომელიც ახალ თაობას ზრდის, ქვეყნის მომავლის ეჭვის ქვეშ დაყენების ტოლფასია. განათლების სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ შერიგების პოლიტიკა გამოაცხადა, რადგან ამ სისტემაში მომუშავენი პატივსაცემი ადამიანები არიან. იმის გარანტია, რომ მასწავლებელი პოლიტიზებული არ იქნება, წარმოუდგენელია, რადგან მათ ყველაფერს ვერ ავუკრძალავთ. ეს თავისთავად უნდობლობას გულისხმობს და კარგს არაფერს მოგვიტანს...

Д. ᲝᲩᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲑᲖᲐᲕᲜᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛ ᲐᲡᲝᲖᲔ

აგვისტოს ომის დროს ტყვეების გაცვლასთან დაკავშირებით იგოეთში გამართულ შეხვედრაზე რუსმა გენერალმა ვიაჩესლავ ბორისოვმა საქართველოს მაშინდელ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილს შეაგინა და სამ ასოზე გაგზავნა. ამის შესახებ გაზეთ **"კვირის პალიტრასთან"** ინტერვიუში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ლეონარდო დევდარიანმა განაცხადა, რომელიც აგვისტოს ომის დროს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაში მონაწილეობდა და ამ შეხვედრასაც უშუალოდ ესწრებოდა.

"ვდგავართ, ვიხრუკებით მზისგულზე და უცბად ორი ახალი "ლექსუსის" ჯიპით შემოგრიალდა ვიღაც. გაიღო კარი და შავსათვალიანი ამერიკული კინოფილმის გმირი კომანდოსი გადმოვიდა. ისე იყო გამოწკეპილი, გამარჯვებული ჯარის მთავარსარდალი გეგონებოდათ. რაღა ნაპოლეონი და რაღა კეზერაშვილი. ბორისოვმა მკითხა, ეს ვინ არისო. თავდაცვის მინისტრია-მეთქი. კეზერაშვილი მარიაჟი სიარულით მოგვიახლოვდა, ბორისოვს ახედ-დახედა, მერე დაცვას მიუტრიალდა, რა არის, ბიჭებო, ახალი ბატინკები ვერ ჩააცვით ამასო და ბორისოვის ფეხსაცმლისკენ ხელით მიუთითა. ბორისოვს ქართული ესმის, 5 წელი ბათუმში მსახურობდა, თანაც ბატინკი რუსულადაც ბატინკია. ხელით ისე მიუშვირა, რომ ყველაფერი გასაგები იყო ნებისმიერ ენაზე. შევხედე, ბორისოვი გაფითრდა. კეზერაშვილი მოგვიახლოვდა და თავისი "გამართული" რუსულით არ დაუწყო ჩხუბი ბორისოვს?

ბორისოვმა კბილებში გამოცრა, შენ ვინ ხარო? მე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარ, შეიარაღებულ ძალებს ვხელმძღვანელობო, გამოეჭიმა კეზერაშვილი. საინტერესოა, რომელ შეიარაღებულ ძალებს მეთაურობ, შე წვინტლიანო, რომელიც არ არსებობს? აბა, მაჩვენე, სად არის შენი შეიარაღებული ძალები? წადი შენიო და ბორისოვმა ჩვენი თავდაცვის მინისტრი სამ ასოზე გაგზავნა, "შენ არ დაგელაპარაკებიო, უთხრა", – იხსენებს დევდარიანი.

ლეონარდო დევდარიანის თქმით, ამის შემდეგ ბორისოვმა შეხვედრის ჩაშლა და უკან დაბრუნება დააპირა, თუმცა, დევდარიანთან მრავალწლიანი მეგობრობის ხათრითა და მისი თხოვნით, საბოლოოდ მოლაპარაკება მაინც შედგა.

"ვეხვეწე, ერთი სულელის გულისთვის ნუ ჩავშლით ამ საქმეს, ტყვეებს შველა უნდათ-მეთქი. ბორისოვმა ხათრი ვერ გამიტეხა, მანქანიდან გადმოვიდა და კეზერაშვილს მიუახლოვდა. კეზერაშვილმა უცბად შეცვალა ტონი. ბატონო გენერალო, თქვენ არასწორად გამიგეთო. "ყველაფერი სწორად გავიგე", – უკმეხად უპასუხა ბორისოვმა, – გაცვლა ხვალ 11 საათზე შედგება. ვცვლით ყველას ყველაზე – მერე მობრუნდა, წავედითო, მითხრა და მანქანაში ჩავსხედით", – ყვება დევდარიანი.

ახლახან კი ისიც ნათელი გახდა, რომ კეზერაშვილი იარაღით უკანონო ვაჭრობის შავ-ბნელ საქმეებშიც ყოფილა ჩართული.

"თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ჩართული იყო იარაღის შესყიდვაში", – აცხადებს თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი ირაკლი ალასანია.

ალასანიას თქმით, კეზერაშვილის საქმეს თავდაცვის უწყების შესაბამისი სამსახური გამოიძიებს.

"ჩვენ მიზნად გვაქვს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და არ შეიძლება არ გვახსოვდეს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ყველა დანაშაული იქნება გამოძიებული. კეზერაშვილის საქმით აუცილებლად დაინტერესდება ჩვენი შიდა სამსახური – ინსპექცია და იქნება აუცილებლად გამოძიებული", – აცხადებს ირაკლი ალასანია.

ამრიგად, დავით კეზერაშვილს იარაღის ბიზნესში მონაწილეობა ედება ბრალად.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გიორგი ლორია – “ახლა არც იქით ვარ, არც – აქეთ, თავისუფალი გახლავართ”

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, გიორგი ლორია სიმაღლეში 1 მეტრი და 97 სანტიმეტრი გახლავთ. მან გულშემატკივარს თავი საქართველო-ესპანეთის თამაშიდან დაამახსოვრა: მაშინ ხომ ქართველი მეკარის თითოეულ მოძრაობას რამდენიმე ათასი მაყურებელი აკვირდებოდა; ფეხბურთელი ძლიერი მეტოქის შემოტევას ღირსეულად უმკლავდებოდა, მაგრამ ბოლოს, სერიოზული ტრავმა მიიღო. საბედნიეროდ, 26 წლის მეკარე ახლა თავს კარგად გრძნობს და იმედს გამოთქვამს, რომ ქართველ გულშემატკივარს კიდევ ბევრჯერ გაახარებს.

– უკვე 2 კვირაა, ვვარჯიშობ. ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგადაა. სრულ მზადყოფნაში ვარ და ოქტომბრის მიწურულს **“ზესტაფონი”-”დინამოს”** თამაშზე მოედანს დავუბრუნდი. მკურნალობის დროს ერთი სული მქონდა, თამაში დამეწყო. ერთი ჭია უკვე მოვიკალი და ვარჯიში დავიწყე, ახლა თამაშსაც შევძლებ.

– ფეხბურთს ბავშვობიდან თამაშობ?

– სპორტის ეს სახეობა ყოველთვის ძალიან მომწონდა. 8 წლისა მამამ გუნდში – **“ავაზა”** მიმიყვანა.

– როგორც ვიცი, მამაშენიც თამაშობდა ფეხბურთს...

– ნუგზარი უნივერსიტეტში თამაშობდა ფეხბურთს. ამბობს, – ძალიან მაგარი ვიყავიო; მერე ავარიაში მოყვა და ტრავმის გამო თამაში ვეღარ გააგრძელა. მამას არც ერთი ჩემი ვარჯიში არ გაუცდენია, დღემდე ყველას ესწრება, თამაშებზე ხომ ყველგან თან დამყვება; მატჩის მერე ვსაუბრობთ, როგორ შეიძლებოდა ამა თუ იმ მომენტის უკეთესად გამოყენება. მამასგან რჩევებს ვიღებ. მისი და ჩემი ოჯახის დამსახურებაა, რაღაცას რომ მივაღწიე. რაც შეეხება დედას, ის ძალიან ემოციურია და თამაშების ყურება ძალიან უჭირს, ამიტომ მხოლოდ კომენტატორის ხმას უსმენს ხოლმე.

– ესპანელ ფეხბურთელებთან თამაშის დროს მაყურებელი განსაკუთრებულად მოიხიბლა შენით...

– იმ დღეს ყველამ განსაკუთრებულად ვითამაშეთ და მაყურებელსაც ამიტომ დაამახსოვრდა ის მატჩი. 84-ე წუთამდე კარში გოლს რომ არ გაუშვებ, თანაც მაშინ, როცა ეს გუნდი სხვებს 15 წუთში რამდენიმე გოლს უტანს, კარგი თამაშია, აბა, რა არის?! შეიძლება ითქვას, ძლივს მოგვიგეს. პირადად ჩემთვის, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ძლიერ გუნდს ვეთამაშები თუ სუსტს, ყველა თამაშისთვის ერთნაირად ვემზადები. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მატჩის წინ განსაკუთრებული მომზადებაც არ არის საჭირო, თორემ შეიძლება **“გადაიწვა”** და საერთოდ ვერ ითამაშო.

– თამაშისთვის ფსიქოლოგიურად თუ ემზადები?

– ჩემთვის ფსიქოლოგიური მომზადება ის გახლავთ, როცა თამაშზე ბევრს არ ვფიქრობ; რაც მეტს იფიქრებ, – თამაში როგორ წარიმართება, გასამარჯვებლად რა და როგორ უნდა გავაკეთოო, **“დაიგრუზები”** და მოედანზე გასულს არაფერი გამოგივა...

– როგორც ვიცი, იყო დრო, როცა წინა პოზიციაზე თამაშობდი...

– კი, ასეთი დროც იყო. მაშინ ასაკით პატარა ვიყავი, მცველის პოზიციაზე ვთამაშობდი და ერთი გოლიც გავიტანე (იცინის)... მაგრამ ფიზიკურად ძალზე სუსტი ვიყავი, სირბილი მიჭირდა და ამიტომაც, კარში ჩადგომა ვარჩიე. ახლა მინიფეხბურთს ყოველთვის წინა პოზიციაზე ვთამაშობ, რადგანაც გოლების გატანა მიყვარს. მაგარი შეგრძნებაა, როცა შენ მიერ გატყორცნილი ბურთი მეტოქის კარში შეგორდება.

– შენზე ამბობენ,– მფრინავი მეკარეაო...

– მსგავსი **“ფრენები”** ადრეც მქონია, მაგალითად, სლოვენიის, ხორვატიის ნაკრებთან თამაშის დროს... მოკლედ, საქართველოს ნაკრებთან ერთად არაერთი კარგი თამაში მქონია, მაგრამ ჩემი მისამართით ასეთ ეპითეტებს ესპანეთის გუნდთან შეხვედრის შემდეგ ამბობენ. ფრენის რა მოგახსენო, მაგრამ თუ ადამიანი ეცდება, ყველაფერი გამოუვა! ეს შვიდმეტრიანი კარი ისეა გაკეთებული, რომ ბურთის აღება ადამიანის შესაძლებლობებს არ აღემატება; დროულად თუ ახტები და სწორად გადახტები, ბურთს კარში არ გაუშვებ! ქართველმა ფეხბურთელებმა ძალღონე არ დაგიშურეთ, რომ გულშემატკივარი გაგვეხარებინა, მაგრამ ბოლოს მაინც წავაგეთ.

– მაგრამ ღირსეულად...

– ჰო, ასეც შეიძლება ითქვას, მაგრამ ჩემთვის წაგება წაგებაა. საწყენია, ასე რომ მოხდა...

– ალბათ, ამ თამაშის შემდეგ ქუჩაში უცხო ადამიანები გაჩერებენ, გესალმებიან...

– ჰო, რა ვიცი (იღიმის)... სოციალურ ქსელში ძალიან ბევრ წერილს ვიღებ. ჩემს მიმართ სითბოს გამოხატავენ.

– გიო, პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი?

– მყავს შვილი – სალი ლორია, რომელიც ორი წლის და ოთხი თვისაა. მეუღლე არ მყავს. ჩვეულებრივი მამა ვარ. შვილი ძალიან მიყვარს და მისთვის ყველაფერს ვაკეთებ. მინდა, კარგი მომავალი ჰქონდეს.

– თუ გგავს?

– ხან მგავს, ხან – არა. სალი ყოველდღე იცვლება. იცის, რომ მამა ფეხბურთელია. რიგი მიზეზების გამო, სტადიონზე ჯერ არ არის ნამყოფი, მაგრამ აუცილებლად წავიყვან. როცა ტელევიზორში მხედავს, თურმე მეძახის: ლაშა მამა, ლაშა მამაო. გაგიკვირდა, არა? – ოფიციალურად გიორგი ვარ, მაგრამ შინაურები ლაშას მეძახიან.

– ამჟამად თუ ხარ შეყვარებული?

– ახლა არც იქით ვარ, არც – აქეთ; თავისუფალი გახლავართ.

– ამბობენ, რომ რამდენიმე წამყვანი კლუბი დაინტერესდა შენით...

– (მაწყვეტინებს) პირადად ჩემთან არც **“რეალის”** მწვრთნელს დაურეკავს და არც – **“არსენალისას”**. მე მყავს მენეჯერი, რომელთანაც მოლაპარაკებას არაერთი კლუბი აწარმოებს. ველოდები ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას, როცა კონკრეტულ შემოთავაზებებს მივიღებ. იმედია, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად წარიმართება.

– რომელი ქვეყნის გუნდში ითამაშებდი სიამოვნებით?

– პროფესიონალური განვითარებისთვის მირჩევნია, ევროპის რომელიმე წამყვანი ქვეყნის კარგ გუნდში ჩავირიცხო, სადაც სტაბილურად მომიწევს თამაში.

– როგორ ფიქრობ, ქართულ ფეხბურთს აქვს პოტენციალი, რომ საერთაშორისო დონეზე იასპარეზოს?

– ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ მთავარია, მისი სწორად გამოყენება ვისწავლოთ. ქართველ ფეხბურთელებს გვაქვს იმედი, რომ ერთ დღეს ჩვენც გავიხარებთ და ქართველი გულშემატკივარიც.

ე. ბასილიძე

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

ბოროტმოქმედებმა 2 თვის ბავშვის გატაცება სცადეს

რამდენიმე დღის წინ წალენჯიხის რაიონის სოფელ პალურში ჩვილის გატაცება სცადეს.

საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციით, რაიონის მაცხოვრებლის დავით ქარდავას კუთვნილ სახლში დაუდგენელი პირი ღამის საათებში ჩუმად შეიპარა და ჩვილის გატაცება სცადა.

ადგილობრივების თქმით, შემთხვევის ადგილზე მისულებმა პატარა ბავშვი ფანჯრის რაფაზე იპოვეს. მათი ვარაუდით გამტაცებლებმა ბავშვის დედის ფეხის ხმა გაიგეს, რომელიც ოთახში შედიოდა, ჩვილი რაფაზე დატოვეს და უჩუმრად დატოვეს დანაშაულის ადგილი.

ბავშვის დედა, ნინო ჯანიანი მომხდარს მისი მეუღლის, დავით ქარდავას მოსკოვში კომერციულ საქმიანობას უკავშირებს. მისი თქმით, გამტაცებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოჯახის უფროსი სამშობლოში წინა ღამეს დაბრუნდა და თან გარკვეული თანხა ჩამოიტანა.

თავად დავით ქარდავას ვარაუდით, დამნაშავეები ოჯახში გაქურდვის მიზნით შევიდნენ და თუ ვერაფერს წააწყდებოდნენ, ჩვილს თან წაიყვანდნენ და შემდეგ გატაცებული ბავშვის გამოსასყიდ თანხას მოსთხოვდნენ ოჯახს.

ორი თვის ჩვილი თავს დღესდღეობით კარგად გრძნობს. ოჯახის ახლობლის განცხადებით ინციდენტის დროს ბავშვის ეღვიძა, თუმცა არ ტიროდა.

მომხდარ საზარელ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოწმეების დაკითხვა.

გასაგებია, რომ ოჯახი არ არსებობს მახინჯის გარეშე, მაგრამ საწყენი ისაა, რომ ამ მახინჯთა უმრავლესობა, რატომღაც, არც თუ იშვიათად, სწორედ სამეგრელოში იყრის ხოლმე თავს.

გამტაცებლებსაც ხომ უნდა ჰქონდეთ იმდენი ტვინი, იმაზე ეფიქრათ, რომ ისინი სათანადოდ ვერ მოუვლიდნენ თოთო ბავშვს, მტერსა და ავს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაღუპვოდათ ჩვილი, რაც ბევრად დაამძიმებდა მათ დანაშაულს, თანასოფლელთა, ან თანაქალაქელთა რისხვაზე რომ არაფერი ვთქვათ!

მაგრამ, როგორც ჩანს, სიხარბე იმდენად აბრმავებს ადამიანებს, რომ მათ სადად განსჯის უნარს უკარგავს.

ჩვენ კი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიცია მალე მიაგნებს დამნაშავეებს და სათანადოს მიუზღავს მათ!

იუმორი

ექიმის კაბინეტში ძლივს შეეტია ჭარბწონიანი ქალბატონი.

– ცოტა უნდა ჭამოთ, – ეუბნება ექიმი.

– ქმრისა და შვილების დატოვებულ საჭმელს ვჭამ...

– დორი შეიძინეთ!

– დორის საჭმელი არ მიყვარს!..

* * *

– ძვირფასო, ჩაირბინე, რა. სურსათის მაღაზიაში.

– რას ამბობ, ისეთი თავსხმა წვიმაა, პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ!

– შენც ნუ წაიყვან ძაღლს.

* * *

ტელეფონის ზარია:

– ალო, გისმენთ!

– როგორ ხართ?

– გმადლობთ, კარგად.

– უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოვხვდი.

* * *

ცოლ-ქმარი პლაჟზეა. ქმარი ქალებს ათვალიერებს.

– ხომ არ გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ? – ეუბნება ცოლი.

– მერე რა, შენც ხარ დიეტაზე, მაგრამ ხომ არ გიშლი მენიუს წაკითხვას.

* * *

– რა გიხარია, ასე რომ იცინი?

– ბიჭი შემეძინა!

– ვაა, გილოცავ!

– ხმადაბლა ილაპარაკე, ცოლმა არ იცის!

ISSN 1987-8966 “ილორი”
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge